მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 10. კვირა, 20 მარტი 1905 წლისა. № 10.

„მოგზაურის“ რედაქცია სელის მომწერთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ვისაც ხვედრი ფულის შემოტანა აკლია, დაიჭიროს შემოტანა.

გამოვიდა ახალი წიგნი
ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან
ა. წულუკიძისა
ფასი ათი შაური.

შინაარსი: დღევანდელი მდგომარეობა, ფ. მახარაძისა.—ომის ამბები.—ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.—არა ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.—სხვა-და-სხვა ამბები.—შინაური მიმოხილვა, ნარისა.—კორრესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—***, ლექსი ვ. რუხაძისა.—გურიის ამბები, ნ. კ—ძისა.—მასწავლებელთა გასაჭირი და კავშირი სრულიად რუსეთის მასწავლებელთა.—ისტორიულ-საზოგადოებრივი წერილები, თარგმ.—

დღევანდელი მდგომარეობა.

დღევანდელ საერთო განკითხვის დროს, როცა ყველა მჩაგვრელი და შემავიწროებელი იძულებული ხდება პასუხი აგოს ხალხის წინაშე რაც რამ აქამდის ბოროტება და ცოდვა ჩაუდენია, ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას გლეხებას მოძრაობა იქცევს. და მართლაც, ამ ათი წლის წინეთ რომ ვისმეს გლეხების მოძრაობის შესახებ საუბარი ჩამოეგდო, იმას ყველა მასხარათ აიგდებდა. იმ დროს ჩვენში ქალაქის მუშების მოძრაობაც არაფრათ მიაჩნდათ და პირდაპირ, აშკარათ, უარყოფდენ ჩვენში მუშათა კითხვას. მაგრამ დღეს ყველა დარწმუნდა, რომ მუშების კითხვა ჩვენში სრულებით უსაქმო პირების გატაცება და ოცნება არ არის, არამედ მას ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური საფუძველი აქვს თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებში. ამავე დროს საზოგადოებას თავზე დაატყდა მეორე არა ნაკლები ყურადღების ღირსი საკითხი—საკითხი გლეხ-კაცობის მდგომარეობის შესახებ. ეს ყველასათვის მოულოდნელი იყო, და უმრავლესობას ეს საკითხი დიდხანს არ ჯეროდა. და მართლაც ვის ეგონა, რომ სოფლის გლეხ-კაცობა, ამოდენა ხნის განმავლობაში მარტო სიბეჩავესა და შევიწროებას დაჩვეული და გონება დახშული, თვალებს გაახელდა, ხმის ამოღებას გაბედავდა და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობას მოითხოვდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი მიყრუებული სოფლები, სადაც ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილი წესები და პოლიციელთა მათრახი ბატონობდა, სადაც ცოცხალი აზრის ან სიტყვის გაგონება ყოვლად შეუძლებელი იყო, ასე გაბედულათ და ენერგიულათ მოითხოვდენ ადამიანურ უფლებებს? და აი ეს დაუჯერებელი გარემოება დღეს ცხადი შეიქნა, სინამდვილეთ იქცა. გურიის გლეხებში დაწყებული მოძრაობა დღეს თითქმის მთელ ამერ-იმერის გლეხობას მოედვა. მთელი გლეხობა, როგორც ერთი კაცი, ზიზღს უცხადებს ძველ წეს-წყობილებას, სპობს ყოველგვარ კავშირს მთავრობის ყოვლგვარ დაწესებულებასთან და თხთულობს ხალხის წარმომადგენლების მიერ არჩეულ მართვა-გამგეობას. წინეთაც ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ გლეხების დღევანდელი მოძრაობა დაიბადა და გაიზარდა ეკონომიურ ნიადაგზე, ე. ი. ამ მოძრაობის თავი და თავი მიზეზი უპირველეს ყოვლისა მიწის სივიწროე ან სრულიად უმიწობა იყო გლეხებში. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ გლეხების დღევანდელი მოძრაობა მარტო ეკონომიური შევიწროებით ავხსნათ. ვინ არ იცის, რომ გლეხებში დღეს ბევრია ისეთები, რომლებსაც მიწა-ადგილი ბევრათ იმაზე მეტი აქვთ, რაც თითონ ჰირდებათ თავის სარჩენათ, და რომლებიც გაჰირვებულ გლეხებს იჯარით აძლევენ მიწებს. ესენი შეადგენენ სოფლის ბურჟუაზიას. მეორე მხრით არიან ან სრულებით უმიწა-წყლოთ დარჩენილი (ბაგანო) ან მცირე მამულის პატრონი გლეხები, რომლებიც იძულებულნი არიან მემამულეებიდან აიღონ იჯარით მიწები, რომ სიმშილისაგან არ დაიხოცონ. ერთი სიტყვით აქ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მაშინ როცა გლეხების ერთი ნაწილი, ე. ი. მისი უმრავლესობა, ეკონომიურათ შევიწროებული და დაჩაგრულია, მისი უმცირესი ნაწილი,—სოფლის ბურჟუაზია, ამ მხრით, რასაკვირველია შეღარებით, უზრუნველყოფილია. ამნაირათ აშკარაა, რომ გლეხ-კაცობის ამ ორ ჯგუფს შუა ეკონომიური განხეთქილება არსებობს; მაგრამ მიუხედავათ ამისა, დღეს გლეხობა, როგორც ერთი კაცი, ამოძრავებულია და თავის უკმაყოფილებას უცხადებს დღევანდელ მართვა-გამგეობას და წესწყობილებას, ერთ ხმათ თხოულობს ამ წესწყობილების ძირიანათ შეცვლას. რით აიხსნება ასეთი შეერთებული მოქმედება? უეჭველათ უნდა იყოს ისეთი რამ, რაც ერი და იმავე მდგომბრეობაში აყენებს როგორც გაღატაკებულ ბოგანო გლეხს, ისე სოფლის შეძლებულ გლეხობასაც. რაში გამოიხატება ეს მდგომარეობა? დღეს ეს ყველასათვის აშკარა შეიქნა.

გლეხებმა უკვე შეიტყვეს, რომ, მართალია, ამ ორმოცი წლის წინეთ მოხდა ბატონების და ყმების გათავისუფლება, ე. ი. ბატონ-ყმური ურთიერობის გაუქმება, მაგრამ ეს გაუქმება მარტო სიტყვიერი გამოდგა, საქმით გლეხი თითქმის იმავე ბატონ-ყმურ ურთიერობაში დარჩა. ეს ბატონ-ყმური დამოკიდებულება მარტო იმაში როდი გამოიხატება, რომ გლეხები მიწა-ადგილების მხრით შეავიწროეს და სავსებით ყოფილ მებატონეებისაგან დამოკიდებული გახადეს, არამედ კიდევ უფრო იმაშიაც, რომ გლეხებისთვის შექმნეს განსაკუთრებული კანონი, რომლის ძალით გლეხები გამოყოფილია ყველა დანარჩენ წოდებებიდან და გლეხობა აღიარებულია დაბალ, გადამხდელ, მო-

ხარკე წოდებათ. ამავე კანონის ძალით გლეხკაცობას დააკისრეს ყოველგვარი გადასახადი და ბეგარა როგორც მემამულეები, ისე ხაზინის სასარგებლოთ. გარდა მემამულეებისა, ნაბატონარებისა, გლეხობას კიდევ მეორე ბატონი მიუჩინეს. ეს გახლავთ პოლიცია ანუ ადმინისტრაცია. მთავრობის ეს ორგანო, დაწესებულება, ლამობდა ყველაფრის ჩანთქვას, ყველაფრის თავის ბრჭყალებში მომწყვდევას. იგი ერეოდა და ეჩხირებოდა ყველაფერში; ხალხი მის თვალში შეიქნა რაღაც გაუგებარი, გონება დახშული, ყველაფრის ამტანი, უენო მასსა, რომელსაც როგორც უნდოდა, ისე ექცეოდა. გლეხობას ვითომც უფლებაც მიანიჭეს თაკისი საქმეები თითონ მას ეწარმოებია; მას ჩააგონეს, ხომ მთავრობა შენთვის ზრუნავსო. გლეხები მართლაც ირჩევდენ მამასახლისებს და სოფლის სხვა მოხელეებს, მაგრამ ეს მათ მიერ არჩეული პირები ნამდვილათ პოლიციის სრული მორჩილი იყვენ, მხოლოთ მისი სურვილის ამსრულებელები იყვენ, ასე რომ პოლიციას ვინც უნდოდა, იმას ირჩევდა და აყენებდა მამასახლისათ; ამიტომ ეს მამასახლისები ხალხის მტანჯველებათ გადაიქცენ. ხალხს დაარსებინეს სკოლები, ვითომც გონების გასანათლებლათ, მაგრამ ნამდვილათ კი სკოლა—ეს წმიდა ტაძარი—გონების დასაბრმავებელ იარაღათ გადაიქციეს, სადაც ბავშვს ულმობლად ამახინჯებენ და რყვნიან, ვინემ ცხოვრებისათვის ამზადებენ. ადმინისტრაციამ ვითომც არც ხალხის ჯანმთელობა დაიცვა: გლეხებს გაუმართეს სასოფლო საავათმყოფოები, მაგრამ საქმე მოაწყეს ისე, რომ ეს წმიდა საქმეც თავის მოხელე ჩინოვნიკებს ჩაუგდეს ხელში, რომლებიც მხოლოთ თავის ჯიბის გასქელებაზე ფიქრობდენ, და არა ხალხის ჯანმთელობაზე. ჩინოვნიკ-ექიმს ფეხებზე კიდია ავათმყოფი გლეხი, ოღონდ მან ფულები აიღოს; ამიტომ ჩინოვნიკ-ექიმების ხელში სასოფლო საავათმყოფოები გადაიქცენ ხალხის საყვლეფავ იარაღათ; და იმავე დროს კი სასოფლო საავათმყოფოები გლეხკაცების ფულით ინახება და იქიდან კი გლეხებს კისრის-კვრით ერეკებიან ჩინოვნიკ-ექიმები. სად არის აქ სამართალი? და ამას შემდეგ კი გასაკვირალია, რომ ხალხი ანგრევს და წვავს სოფლის სკოლებს, გალახვას და მოკვლას ემუქრება ჩინოვნიკ-ექიმებს? სასტიკი და მიუტევებელი ცოდვა იქნება, თუ აქედან იმ დასკვნას ვამოიყვანთ, რომ ხალხს არ სურს სწავლა, რომ იგი არაფრათ აგდებს წაწლობას და ექიმობას. ეს არის დღევანდელი წესწყობილების შედეგი. აი სადამდის მიიყვანეს და როგორ გააბოროტეს ხალხი! განსაკუთრებით იტანჯება აქ გლეხკაცობა, როგორც წოდება, და აი სწორეთ ამიტომ ამოძრავდა იგი ამ წეს-წყობილების წინააღმდეგ. ამბობენ, რომ თუ თავად-აზნაურობა დაუთმობს და ზოგ შეღავათს მიანიჭებს გლეხებს, შეიძლება, ეს უკანასკნელნი დაკმაყოფილდენ, დაწყნარდენ და ძველ ცხოვრებას დაუბრუნდენო. ამის თქმა ან გაუგებრობაა და ან თავისი თავის დატყუილება; გლეხების მოძრაობა მიმართულია დღევანდელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ; გლეხები თხოულობენ ბატონ-ყმური ურთიერობის ნაშთის სრულიად გაუქმებას. ეს ძესწყობილება ხელს უშლიდა და აბრკოლებდა ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას, საწარმოო ძალთა სრულ განვითარებას. ხალხი დაბოროკილი იყო. მართალია, პირადი დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის მოისპო ამ ორმოცი წლის წინეთ, მაგრამ ხალხს ერთის მაგიერ ორი ბატონი გაუჩნდა: ერთი იყო ძველი ნაბატონარი, რომელსაც მთავრობამ მიაკუთვნა გლეხების სარჩოსაბადებელი მიწა-წყალი; მეორე იყო ყოლის შემძლე ადმინისტრაცია, რომელმაც ხალხი შებოჭა და შეიპყრო. გლეხები დღეს აშკარათ ხედვენ, რომ მარტო მემამულეებისაგან თავის დახსნა მათ ვერაფერს უშველის, თუ ახლანდელი მართვა—გამგეობის წესი შენახული იქნა. აწინდელი წესწყობილების ძირითადი ცვლილება იქნება მხოლოთ პირველი ნაბიჯი, და ამ პირველ ნაბიჯს მთელი გლეხ-კაცობა ერთათ გადადგამს. ეს ნაბიჯი იქნება ხალხის პოლიტიკური განთავისუფლება, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება. ამას სხვა ნაბიჯები მოყობა, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ სოფლის გაჭირვებული, ბოგანო, ხალხი ჩამოშორდება სოფლის ბურჟუაზიას და მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუერთდება ქალაქის მუშა ხალხს. მაგრამ დღეს კი საერთო მტრის მოშორებაა საჭირო.

დადგა დრო, დრო განკითხვის, როცა ძველი წეს-წყობილება უნდა სამუდამოთ დაინგრეს. ზოგიერთები ფიქრობენ, ვითომც შეიძლებოდეს ძველ წეს-წყობილების ხსნა. იმათი შეხედულებით ამისთვის საკმარისია ზოგი რამ დათმობა, შეკეთებ-შემოკეთება. იყო დრო, როცა დათმობაც მეტათ მიაჩნდათ, მაგრამ დღეს ამით აღარავინ დაკმაყოფილდება. გაიხედ-გამოიხედეთ გარშემო და თქვენ დაინახავთ, თუ რა ხდება: უკმაყოფილებას და პროტესტს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ აცხადებენ არა მარტო ქალაქის მუშები, არამედ სოფლის გლეხ-კაცობაც, არა თუ უმაღლესი სასწავლებლებში მოსწავლე ახალთაობა, არამედ საშუალო და დაბალ და თითქმის პირველ დაწყებითი სკოლების შეგირდებიც, არა მარტო მამაკაცები, არამედ დედაკაცებიც, არა მარტო ახალგაზდობა, არამედ მოხუცებულებიც. ერთი სიტყვით, დღევანდელი მოძრაობა არ არის წუთიერი, იგი არ არის გამოწვეული კერძო ხასიათის უკმაყოფილებით, იგი მოწმობს, რომ ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წეს-წყობილება ყოვლად უვარგისი და გამოუდეგარია, და სანამ იგი არ შეიცვლება, მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება ყოვლად შეუძლებელია. უნდა მოისპოს დღევანდელი პოლიციური წესწყობილება და მის ნაცვლათ უნდა დამყარდეს უფლებრივი წესწყობილება, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადამიანის პიროვნების ხელშეუხებლობა, აზრის, სინიდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირის და გაფიცვის თავისუფლება. უნდა დაარსდეს ხალხური მთავრობა, ამორჩეული თვით ხალხის მიერ. მხოლოთ ამ ძირითად ცვლილებების შემდეგ შესაძლებელი იქნება ხალხის კულტურული განვითარება და წარმატება.

ფ. მახარაძე.

ომის ამბები.

თითქმის ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რუსის ნახევარ მილიონამდე ჯარი სასტიკათ დამარცხდა მდინ. შახესა და ლიაოხეს მიდამოებში, რამაც გამოიწვია მისი აჩქარებით უკან დახევა. იაპონიის გამარჯვებულმა ჯარმა დაიჭირა ჯერ მუკდენი, და შემდეგ ტელინი, ეს მანჯურიის უმესანიშნავესი სიმაგრე და ფეხდაფეხ დაედევნა რუსის თავზარ დაცემულ და განადგურებულ მხედრობას. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ის ჯოჯოხეთი, რომელიც ამ უკანასკნელ ბრძოლის დროს რუსის ჯარმა გამოიარა: სიმშილი, სიცივე, უგზო-უკვლოთ უკან დახევა, მტრის განუწყვეტელი დევნა მთელი ორი კვირის განმავლობაში, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, ყველგან მოუსვენრობა, ყველგან გაჭირვება, ყოველგან სიცივე, სიმშილი, ტყვია, ყუმბარა, მოკლულნი, დაჭრილნი, ავათმყოფნი,—აი ის საშინელი სურათი, რომელიც ჩვენ თვალ წინ გვეხატება, როცა ამ საშინელ ომზე დავფიქრდებით. მოკლულთა და დასახიჩრებულთა, ავათმყოფთა და დაკარგულთა რაოდენობა დღეს აღარ

იზომება ასობით და ათასობით, არამედ ათი ათასობით და ასი ათასობით! ჯერ დაახლოვებითაც არ არის გამორკვეული, თუ სადამდის ადის მოკლულ, დაჭრილ და გადაკარგულ ჯარისკაცების რაოდენობა. ამბობენ კი, რომ იმათი რიცხვი ორასი ათასამდე ადისო, გარდა ტყვეებისა. ეს არის ზარალი მარტო ადამიანთა მსხვერპლის სახით! მაგრამ განა ომში მოკლულ, დაკარგულ და დასახიჩრებულ ადამიანებით განისაზღვრება ეს უმაგალითო ზარალი? ვინ ზღავს ამოდენა დაკარგულ მშრომელ ხელს, ამოდენა განადგურებულ ქვეყნის ძალას? ვინ გაუწევს პატრონობას იმ მოხუც დედ-მამებს და იმ ქვრივ-ობლებს, რომელთაც ამ ომის წყალობით დაკარგეს შვილები, ქმრები და მამები? ყველა ამას დაუმატეთ იმ აუარებელი სურსათის და სამხედრო მასალის: თოფების, ზარბაზნების, პატრონების და სხ., დაკარგვა, რასაც თითქმის ერთი წლის განმავლობაში ეზიდებოდენ მანჯურიაში. და ეს მხოლოთ ამ ერთი ბრძოლის დროს! და რამდენი ამისთანა ჩანთქა ამ ომმა? რამდენს კიდევ იგი ჩანთქავს მომავალში? თითქო მოსალოდნელი იყო, რომ მუკდენის და ტელინის აღების შემდეგ, როცა რუსის ჯარი სრულებით თუ არ განადგურდა, განახევრდა მაინც, ეს ყოვლად უმნიშვნელო და საშინელი სისხლის ღვრა შეწყდებოდა, დასასრული მიეცემოდა, რადგანაც ყველასათვის აშკარა უნდა დარჩენილიყო, რომ რუსის ჯარს დღეს გამარჯვების იმედი აღარ უნდა ქონოდა. მაგრამ დღეს ისევ ომის განგრძობისთვის ემზადებიან: მთავრობა, თუ გაზეთებს დავუჯერეთ, ახალი ჯარების გაგზავნას აპირებს მანჯურიაში, თითქო ჯერ ცოტა სისხლი დაღვრილიყოს, თითქო იმ ომისთვის ჩვენ საშობლოს ცოტა მსხვერპლი შეეწიროს! გასაკვირალია ამასთან ისიც, რომ მთავარ სარდლები ზედი-ზედ იცვლება, თითქო გამარჯვება მხოლოთ მთავარ სარდლის გამოცვლაზე იყოს დამოკიდებული! უნდა იცოდენ, რომ დღევანდელ პირობებში ვერც ერთი სარდალი და ვერც მრავალ რიცხოვანი ჯარი, რაც უნდა იგი გაწვრთნილი და მომზადებული იყოს, გამარჯვების შარავანდედით ვერ შემოსავს რუსეთს. რუსეთს ამარცხებს დღეს არა იაპონია, არამედ თავისი საშინაო წეს-წყობილება, ანუ უკეთ რომ ვთქვათ სრული მოუწყობლობა. ამიტომ დამარცხების მიზეზს ამაოთ ეძებენ მანჯურიაში, ჯარის და სარდლების მოუმზადებლობაში. არა, ეს დამარცხება აქ, შინ, უნდა ვეძიოთ, და შეიძლება მხოლოთ მაშინ ეშველოს რამე ჩვენ მრავალტანჯულ ქვეყანას! მაშინ ჩვენ დავინახავთ, თუ ვინ იყვენ ხალხის მოღალატენი, თუ ვინ გამოიწვია და რა ედვა სარჩულათ იაპონიასთან ომის გამოწყობას. მაშინ ჩვენ დავინახავთ, სტატს-სეკრეტარი ბეზობრაზოვი და კარის კაცი ბალაშოვი იყვენ ასეთები, თუ ამათში კიდევ სხვებიც ერიენ! დღეს ამ საშინელ, უმაგალითო ისტორიას ფარდა ეხდება და ცოტ-ცოტათ ირკვევა, თუ ვის ედება ამაში ბრალი, თუ ვინ დალია ხალხის სისხლი. გაივლის კიდევ რამოდენიმე ხანი, და ჩვენ წინ ჩაიარაზმებიან მთელი რიგი ხალხის მოღალატეებისა და სისხლის მსმელებისა. ეს დრო, ვგონებთ, შორს აღარ არისო. (რ. ვ.)

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲔᲑᲨᲘ.

(იხ. «კავკაზი» №№ 68, 70).

28 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, შორაპნის მაზრის სოფ. ხიდარისა და ვარძიას მცხოვრები გლეხები 350-მდე კაცი, შეგროვდენ ერთათ და დაიწყეს ყვირილი: «ურა! ახლა ძველი დრო აღარაა, ახლა თავისუფლება, ძმობა და ერთობაა! ძირს ძველი მართვა-გამგეობა!» და სხვა ამგვარები. ამის შემდეგ ჯერ გაემართენ კიცხის სამინისტრო ორკლასიან სასწავლებლისაკენ, გარეკეს სკოლის მსახურნი, შეამტვრიეს კარები, ფანჯრები, შევიდენ სკოლაში. დაამსხვრიეს შკაფები, მაგიდები, სკამები, ნაკუწ-ნაკუწათ აქციეს აგრეთვე ხელმწიფე იმპერატორის სურათი და ყველა წიგნები და საბუთის ქაღალდები, რაც კი სასწავლებელში იყო. ამის შემდეგ სასწავლებლიდან ხალხი გაემართა კიცხის სასოფლო კანცელარიისაკენ და გაანადგურა ყველაფერი, რაც კი კანცელარიაში იყო, ხოლო წიგნები, მოწმობანი და სხვა საბუთის ქაღალდები გარეთ გამოიტანა და ნაკუწებათ აქცია. აქედან ხალხი გაემართა სოფ. ვარძიას: აზნაურ ივანე ყიფიანის სახლში, სადაც ბინა აქვს კუნძულ კიპრის ბერძენთა მონასტრების ქონებათა გამგეს, არქიმანდრიტ სამოელს. დაინახა თუ არა არქიმანდრიტმა გლეხები—დაიმალა. ხალხი შევიდა ეზოში, დაამსხვრია კარები, ფანჯრები და სახლის ყოველ-გვარი ავეჯეულობა; გამოიტანა გარეთ ერთი ყუთი, ამოალაგა რაც შიგ საბუთის ქაღალდები და წიგნები იყო, დახია ყველა, გადაყარა და წავიდა. როგორც არქიმანდრიტი სამოელი აცხადებს, ყუთში ყოფილა შენახული საქართველოს მეფეთა სიგელ-გუჯრები, რომლის ძალითაც ბერძენთა ხსენებული მონასტერი ფლობდა საქართველოში უძრავ ქონებათა. იმავე დღეს, სალამოს, ხალხის ერთმა ნაწილმა შეამტვრია ყიფიანის სახლის ფანჯრები (ყიფიანი ოჯახობითურთ სხვაგან იმყოფება), შევიდა შიგ და სახლში მყოფთ მოკვლას დაემუქრა, შემდეგ გატეხა კამოდი, დახია რაც შიგ ქაღალდები იყო, და წაიღო ორი სანადირო თოფი და ერთი ნაბადი. ხალხმა, ამასთანავე წინადადება მიცა რაველ ხუროებს, რომელნიც ყიფიანის სახლს აშენებდენ, მუშაობას თავი დაანებეთო.

—

დუშეთის მაზრაში, სოფ. ძალისისა და მჭადის-ჯვარის მცხოვრებლებმა მუხრანის საუფლისწულო მამულისა და სოფ. მუხრანის ზოგიერთ ადგილებში ნება-დაურთველათ ტყე გაჯაფეს. 5 მარტს მუხრანის სასოფლო კანცელარიაში მიწვეულ იქნენ ხსენებულ სოფლების წარმომადგენელნი, მაგრამ სამის ნაცვლათ კანცელარიაში გამოცხადდენ 14 სოფლის წარმომადგენელნი, მათ შორის ზოგი მუხრანის საუფლისწულო მამულებში მოსახლე, ზოგი სახაზინო ადგილებში დასახლებული და ზოგიც თავად-აზნაურთა მიწა-წყალზე მყოფი. როდესაც მცხოვრებთა ამნაირ თვითნებობის მიზეზებს იკვლევდენ, ჯერ სოფლის რწმუნებულნი, ხოლო შემდეგ კი ყველა იქ მყოფნი, ასე 800 კაცი, წამოდგა წინ, ზოგი კეტებითა და ზოგიც თოფ-რევოლვერ-ხანჯლებით შეიარაღებულნი, და წარადგინეს სიტყვა-სიტყვით შემდეგი მოთხოვნილებანი.

1) უნდა შემცირდეს სოფლის საზოგადოებათა რაიონები, ყოველ სოფელს უნდა მიენიჭოს უფლება იყოლიოს დეპუტატები და ამ დეპუტატებს უნდა შეეძლოთ საბოლოოთ ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გარჩევა, თუ საქმე მოხდა იმ სოფლის საზღვრებში ხალხის თვით გასამართლების უფლების შეუზღუდველათ. სოფელში მცხოვრებ სხვა წოდების წარმომადგენლებს გლეხებთან თანასწორი უფლება ეძლევათ. ის, ვინც სოფლის საზოგადოებაში არ ჩაეწერება, კარგავს ყოველსავე კავშირს სოფელთან.

2) სოფლის საზოგადოებებს უნდა გადაეცეს სრულ საკუთრებათ ხაზინის, საუფლისწულო და კერძო ადგილ-მამული, სახნავ-სათესი და ტყე. ამ ადგილებში არ უნდა გადახდეს სოფელს არავითარი ბეგარა, გარდა მცირე გადასახადისა ხაზინის სასარგებლოთ საუკეთესო ადგილებში.

3) მღვდლებს უნდა დაენიშნოთ ჯამაგირი და სხვა და სხვა მღვდელ-მსახურებისათვის ფასის მიცემა უნდა იყოს დამოკიდებული თვით გლეხებზე და ამაში არ უნდა ერეოდეს მთავრობა.

4) ჯარში გაყვანილი შირები მხოლოთ თფილისის გუბერნიაში მყოფ ჯარებში უნდა ჩაირიცხოს და ომიანობის დროსაც ამიერ-კავკასიის იქეთ არსად არ უნდა გაიყვანონ ხოლმე.

5) სასწავლებლების დაარსება უნდა ხდებოდეს გლეხების განკარგულებით. სოფლათ უნდა იყოს მხოლოთ სამეურნეო სასწავლებლები და სწავლება უნდა წარმოებდეს ქართულათ და ზოგი რამ რუსულათაც.

6) უნდა მოისპოს აქციზი და საქციზო ზედამხედველობა.

7) უნდა იქმნეს შემოღებული ვრესსის სრული თავისუფლება.

8) უერთდებიან იმ რუსებს, რომელთაც ეძახიან «ბუნტოვჩიკებს".

9) ზემოხსენებულის ასასრულებლათ დადებულია ვადა 14 მარტი, რის შემდეგ გლეხები თავისუფალნი არიან მოიქცენ ზემოთ ნათქვამის შესახებ თავიანთ სურვილზე.

მშვიდობიანობის აღსადგენათ სამაზრო ადმინისტრაციის დასახმარებლათ და მუხრანის მახლობლათ მოჩეხილ ტყის და აკლებულ ყანების დირებულების გადახდევინების საქმეში იგზავნება ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარი და ამ ჯარის შენახვა უნდა დაევალოს სამ სოფელს (წილკანს, ძალისსა, და მკადისჯვარს—სულ 550 მცხოვრებს), რომელნიც ამ საქმეში უფრო დამნაშავე აღმოჩნდენ.

—

გლეხთა მოძრაობა გორის მაზრაში თან და თან იზრდება და მწვავდება. წასულ კვირას სოფ. ზემო-გომში მოხდა გლეხთა ყრილობა, რომელმაც გადაწყვიტა უსასყიდლოთ ისარგებლოს მემამულეთა მიწებით, ადარ მიმართოს ადმინისტრაციის დახმარებას და ყველა საქმე თვითონ გაარჩიოს არჩეულ კაცების მეოხებით. ასეთივე ყრილობა მოხდა სად. მიხაილოვოთან დეშოს მუშების მონაწილეობით. ამასთან ყრილობამ თავის მოთხოვნილებათა სისრულეში მოსაყვანათ საჭიროთ დაინახა ძალა იხმაროს ადმინისტრაციის მოხელეთა წინააღმდეგ და გადაწვას სასოფლო სამმართველოები.

7 მარტს სოფელ კარალეთში მახლობელ სოფლებიდან შეიკრიბა კლეხობა წითელის დროშებით, უწესობა მოახდინა და დააზიანა სოფლის კანცელარია. რადგან კარალეთის საზოგადოებამ არ იკისრა თავის კანცელარიის დაცვა, საქმეები გადატანილ იქნა მემამულის თავ. ერისთავის სახლში.

ცხინვალში ხალხი ქუჩა-ქუჩა დადიოდა, იძახდა „ურა"-სა და „ერთობას" და რეგოლვერებს ისროდა.

11 მარტს დაიწყო თავდასხმა ქარელში თავ. ციციშვილების ტყეებსა და სახლ კარზე. ამასთან გლეხები უშლიან სოფლის მოხელეებს თავიანთ თანამდებობის ასრულებას და ითხოვენ მემამულეთა მოსამსახურეებს.

სოფ. რუისში, 11 მარტს, ხალხმა ჩაღეწა სკოლისა და სასოფლო სამმართველოს შუშები. შემდეგ დააზიანა ოთხი ქარას წისქვილი. ეს წისქვილები სადაოა გლეხთა და მემამულეთა შორის.

ჩამოთვლილ ადგილებს გარდა მოძრაობამ თავი იჩინა აგრეთვე ბაკურიანშიაც. თითქმის ყველა სასოფლო სამმართველოში საქმის წარმოება შეჩერდა.

გორის მაზრის გლეხთა საჭიროებების გამოსარკვევათ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მარტის პირველ რიცხვებში ადგილობრივ გაგზავნა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ე. გ. ვეიდენბაუმი, რომელიც კარგათ იცნობს ადგილობრივ გლეხთა ყოფა-მდგომარეობას. რადგან მოძრაობამ საშიში ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციის დასახმარებლათ გორის მაზრის სხვა და სხვა ადგილას გაიგზავნა ჯარი.

არა ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.

საღოლაშენის (გორის მაზრის) გლეხებს დაუწერიათ თავის მოთხოვნილებანი და წარუდგენიათ ადგილობრივ მემამულისთვის. აქვე ვბეჭდავთ ამ „მოთხოვნილებას", რომლის სინამდვილესაც იგივე მემამულე თავის ხელმოწერით ამოწმებს. როგორც გავიგეთ, იმ მეზღვებში, რომელთა აღსრულებაც მემამულესაგანაა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი გლეხებს შეთანხმებია და შეპირებია, მოთხოვნის შესრულებას.

აქვე ვბეჭდავთ სიტყვა სიტვით გლეხების მოთხოვნილებას:

„ჩვენ, მშრომელ და ყოველად დაბეჩავებულ გლეხკაცობას, არა გვაქვს მიწა, ტყე, წყალი. ყველა ეს ბუნების სიმდიდრე უფალმა სხვას ჩააბარა, მემამულეებს. ამით ისარგებლეს მათ და ერთი ორათ დაადეს გადასახადი იჯარა ანუ ღალა მიწაზე, აგრეთვე გააძვირეს ტყე.

„ამიტომ ვთხოულობთ, დაწესდეს შეღავათიანი გადასახადი მიწაზე და ტყე კი უფასოთ მოგვეცეს. მოისპოს ყოველივე ბეგარა, მუშა, გუთანი გლეხკაცებისაგან მემამულეების სასარგებლოთ. აგრეთვე სამწყემსური მეემამულებმაც გადიხადონ.

„ჩვენში არიან ნადელიანი გლეხკაცები, რომლებსაც ჯერ არ გამოუყიდნიათ, შეუძლებლობის გამო. ამიტომ ვთხოულობთ უფასოთ დაეთმოთ ეს ნადელები. აგრეთვე უნადელო ხალხს მიეცეს ნადელი უსასყიდლოთ და ვისაც გამოუყიდნია, იმას უკანვე დაუბრუნდეს ფული.

„ჩვენ სხვადასხვა გადასახადს ვიხდით, როგორც სასოფლოს, აგრეთვე სახელმწიფო, რაიც ერთი ორათ გვალატაკებს ისედაც გასაწყლებულ ხალხს, ამიტომ ვთხოვულობთ, დაწესდეს გადასახადი შეძლებისდაგვარათ ესე იგი, ვისიც წლიური შემოსავალი არ აღემატება 50 თუმანს, იმან არაფერი გადაიხადოს, და ვისაც მეტი შემოსავალი ჰქონდეს, იმან გადაიხადოს.

«ჩვენი მღვდლები ყოველ წესის ასრულებაზე ფულს გვთხოვენ და ზედ მეტ დრამას. ამიტომ ვთხოულობთ მოისპოს ყოველივე გადასახადი მღვდლების სასარგებლოთ, და მიეცეთ მათ სახელმწიფო ჯამაგირი, ან არა და ვისაც სურს, იმან აძლიოს».

«ჩვენ არ გვსურს პოლიცია თავის სტრაჟნიკებით, რადგანაც ესენი ჩვენს საქმეს არ არჩევენ, ემსახურებიან ქრთამს და მხოლოთ მთავრობის ბრძანებას ასრულებენ.

«ჩვენ არ გვსურს არც ერთი სასამართლო, რადგანაც მომეტებულს ადგილს სამართალი სწარმოებს უვიც თარჯიმანების შემწეობით. ამიტომ ვთხოულობთ მოისპოს ეს და დაარსდეს საგლეხო თვით-მართველობა.

«ჩვენ ადამიანები ვართ, ამიტომ ვთხოულობთ ყოველ უფლებას თანასწორ სხვა წოდებასთან.

«აგერ ცხრა წელიწადია, მაღაზიის ფულს ვიხდით, მაგრამ ჩვენ ამ ფულით არ გვისარგებლია, ამიტომ ვთხოულობთ უკანვე დაგვიბრუნდეს ეს ფული, რათა ამით დავაარსოთ აგლეხობრივი საგლეხო ბანკი, რომ შეღავათიან სარგებლით შეგვეძლოს სესხება, თორემ ჩვენი მოვახშეები ზოგჯერ თუმანზე

50 კაპ. გვახდევინებენ. უკეთუ არ შეგვისრულებთ ამ მოთხოვნილებას, აღარ გავიღებთ მაღაზიის ფულს.

«ჩვენ როგორც გვინდა, ისე მოვიხმარ ჩვენ ჰირნახულს. ამიტომ ვთხოულობთ მოისპოს აქციზი არყის გამოხდაზე, რადგანაც ჩვენში ძაან შემცირდა ღვინის მოსავალი და უსასმელოდაც არ შეგვიძლიან გაძლება. ყოველს წივთს დიდი ბაჟი აღევს, მაგ. ჩვენებური წავთი უცხო ქვეყანაში 30 კაპ. ღირს. ჩუენში კი 1 მ. 80 კაპ. აგრეთვე ძვირია ჩვენში შაქარი, საპონი, სპირტი, სპიჩქა და სხვა. ამიტომ ვთხოულობთ, მოისპოს ეს ბაჟი, რაიცა მომეტებულათ ჩვენ, ღარიბებს, გვაწვევს კისერზე.

,,ჩვენ გვსურს სწავლა-განათლება, რადგანაც უსწავლელ კაცს ყველა ჩაგრავს ამ წუთისოფელში. ამიტომ ვთხოულობთ, დაარსდეს საყოველთაო სავალდებულო სწავლა, სადაც განურჩეველათ სქესისა, უნდა სწავლობდენ ჩვენი ბავშები 16 წლამდის და სწავლა უნდა წარმოებდეს ჭართულ ენაზე.

,,ჩვენი სალდათები მიყავთ უცხო ქვეყანაში, სადაც ვერ იტანენ იქაურ ჰავას და უდროოთ ესალმებიან წუთისოფელს ამიტომ ვთხოულობთ, ჩვენი სალდათები გააწესონ ადგილობრივ პოლკებში.

,,გზებს მარტო გლეხ-კაცები ვაკეთებთ, თითქოს მარტო ჩვენ დავდიოდეთ. ამიტომ ვთხოულობთ ყველა წოდებამ მიიღოს მონაწილეობა.

,,ჩვენი ხალხი ბევრი იხოცება უექიმოთ იმიტომ, რომ ჩვენ არა გვყავს ექიმი და არ გვაქვს საავადმყოფო. ამიტომ ვთხოულობთ დაგვიარსონ საავადმყოფო თავის ექიმით.

,,ჩვენმა გამწვავებულმა ცხოვრებამ გვაიძულა ხმა ამოგველო და მოგვეთხოვა ყოველივე ზემოთ მოხსენებული'' (,,ივერია'')

—

8 მარტს ცხინვალის საზოგადოების დიდი უმრავლესობა შეიკრიბა ცხინვალის მოშორებით და ლაპარაკი ჰქონდა თავის სიჭიროებაზე. მეორე დღეს, ოთხშაბათს, ბოქაულმა დაიბარა ხალხი და გამოუცხადა საყვედური ფარულათ რათ იკრიბებითო; აი თქვენი კანცელარია, აქ ილაპარაკეთ, ამოირჩიეთ სანდო კაცები, რომ მთავრობის კომისიას გადაცენ თქვენი მოთხოვნანი. პოლიცია ვერ დაესწრება ჩვენს მოლაპარაკებასო,—უპასუხა ხალხმა და ერთიანათ გავიდენ ლიახვს გაღმა; იქ მოილაპარაკეს და აირჩიეს 14 კაცი (ყველა სარწმუნოებისა, ერთი თავადიც არის მათ შორის), რომელთაც მთავრობის წარმომადგენელებთან უნდა იქონიონ საქმეო. შემდეგ შემოვიდენ ცხინვალში, ეკლესიის კარები გააღეს, ბაირაღები გამოიტანეს და დიდის ამბით შემოიარეს ქალაქი ლოცვით ,,ჯვრისძას გიხაროდენ'' გიძახოდენ ყოველი მხრიდან.| ამ დღესვე ზარების რეკითა და ქუდ-მოხდით მთელმა ყრილობამ აღთქმა დასდო—არამც და არამც ცეცხლის მოკიდება და მსგავსი ძალმოძრეობა არ იქნებაო.

სხვა და სხვა ამბები.

გენერალ ალიხანოვის განკარგულებით ქ. ოზურგეთში შემდეგი განცხადება გაუკრავთ:

განცხადება ქ. ოზურგეთის მცხოვრებთ, 10 მარტი 1905წ. ქ. ოზურგეთში მოსული და დაბარგებული ჯარის უფროსი, აძლევს წინადადებას ქ. ოზურგეთის და მისი მაზრის მცხოვრებთ, რათა ყოველივე კანონიერი წესრიგი იყოს დაცული. თავიანთ საქმეების შესახებ მიმართონ მთავრობის სასამართლოებს და შეასრულონ ყოველივე მათი კანონიერი მოთხოვნილება. ვინც ამას არ შეასრულებს იქნება სასტიკათ დასჯილი.

ყოველ გვარი იარაღის: თოფის, რევოლვერის, ხმლის, ხანჯლის და სხვ. ტარება სასტიკათ აკრძალულია დაბნაშავეს ამ მოთხოვნილების დარღვევაში ჩამოერთმევა იარაღი, და დაპატიმრებული იქნება.

ყოველ გვარი დუქნები და სხვა სავაჭროები, რომლებიც დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში არ გამოიტანენ საჭირო ვაჭრობის ნებართვას, იქნებიან დახურული.

დუქნებსა და სავაჭროებში უნდა შეწყვიტონ ვაჭრობა სალამოს რვა საათზე და დაიწყონ დილის 8 საათზე. დამნაშავენი ამის დარღვევაში დაიშტრაფებიან.

სამხედრო წესების შემოღების გამო, აკრძალულია ქალაქში სიარული კერძო პირების სალამოს 8 საათის შემდეგ; ამ წესის დასაცველათ იქნებიან დანიშნული ჯარის კაცებიდან შეგმდგარი ღამის პატრულები (ბხოდი). ნება არა აქვთ კერძო პირთ გადავიდენ ჯარის ბანაკის რაიონში და რაიმე კავშირი იქონიონ ჯარის კაცებთან.

ცხადდებ ქალაქის ვაჭრებს, რომ თუ ვინიცობაა სტაჩკა გამართეს, ან უმიზეზოთ ფასები აუწიეს აქაური ვაჭრობის საგნებს, ჯარებს აუკრძალავ რამე იყიდონ ან შეიძინონ მათგან და ყველაფერი რაც ჯარისათვის საჭირო იქნება ხაზინის ხარჯით მოტანილ იქნება სხვა ადგილიდან.

უკანასკნელ ვაძლევ წინადადებას მოქალაქეთ და მცხოვრებთ დაიცვან წესიერება, შეასრულონ ყოველივე მოთხოვნილება მთავრობისა და მით ხელი შეუწყონ საჭიროთ საბრძოლო წესრიგის მოხსნას.

—

ქ. ოზურგეთიდან ჩვენ გვწერენ: ჯარი ოზურგეთშია დაბანაკებული. განკარგულება ჯერ არაფერია, გარდა იმისა, რომ განცხადებები მიაკრეს, სალამოს რვა საათის შემდეგ ქუჩაში გავლა აკრძალულიათ; ღამდამობით ქუჩებში დადიან ყაზახრუსები და სალდათები, და ვაი მისი ბრალი, თუ ვისმეს შეხვდენ, ტყავს გააძრობენ და კიდეც გაძარცვავენ; შეიძლება სახლებსაც დაუშინონ თოფები, თუ ვინმემ ეზოში ჩასვლა მოინდომა. დიდ შიშში ვართ და სახლს ვერ ვშორდებით.

—

ქ. ქუთაისიდან გვწერენ: ქუთაისიდან ამ დღეებში გაიგზავნა რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში შემდეგი პირნი: ვლ. მენაღარიშვილი, გ. ზენაიშვილი (ყაზანის გუბ.), მ. ბუკია, ნ. ლომთათიძე და ს. თავართქილაძე (კურსკის გუბ.); დ. კალანდაძე (ტულის გუბ.); ი. მეგრელიშვილი (სამარის გუბ.); ფერშალი დ. რამიშვილი (დონის ოლქში). ყველა ესენი გურულები არიან და ყველას სუთ-ხუთი წელიწადი აქვთ გადაწყვეტილი. აქედანვე გადაიყვანეს თფილისის ციხეში: ს. კილაძე, ჰ. მასალკოინი და ი. კაჩუხოვი.

გამოიცვალა აქაური ციხის უფროსი და მისი ადგილი პოლიციაში მოსამსახურე ბოქრიშვილს მ-ცეს. ადგილობრივ ციხეში ახალი წესრიგი შემოიღეს: სასმელ-საჭმელი გაუმჯობესებულია. მნახველებისათვის უფრო თავისუფლებაა ჩ სხვა.

12 მარტს ახალმა გენერალ-გუბერნატორმა ინახულა აქაური ციხე და გაათავისუფლა იქიდან თებერვალში დაჭერილი დემონსტრაციის გამო რკა კაცი.

—

ჩვენ გვატყობინებენ დუშეთიდან: მარტის 14 ადგილობრივი სკოლის ორკლასიანი სკოლის მოსწავლეებმა უარი განაცხადეს და აღარ შევიდენ სამღვთო რჯულის გაკვეთილზე, რომელსაც ასწავლის მღვდელი დ. მეტრეველი.

—

14 მარტს თავი მოიყარეს თბილისის ტეხნიკურ სასწავ-

ლებლის შეგირდებმა და სასწავლებლის უფროსს გამოუცხადეს: ამ დროს, როცა ყოველ კუთხეში გამეფებულია უსამართლობა და ხალხის ჩაგვრა, არ შეგვიძლიან უგრძნობლათ დავრჩეთ და განვაგრძოთ სწავლაო. ამის შემდეგ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა: გადაყვანილ იქნან შემდეგ კლასში ის შეგირდები, რომელთაც საიმედო ნიშნები აქვთ, ხოლო დანარჩენებს დაენიშნოთ ხელ-მეორეთ გამოცდა სექტემბერში; ეთხოვოს მზრუნველს, რომ უფროს კლასის შეგირდებს მიეცეთ გათავების მოწმობა. ეს გადაწყვეტილება წარუდგინეს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

—

14 მარტს ქ. გორში საქალაქო და სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი შეიკრიბენ საქალაქო სასწავლებელთან, საიდანაც ისინი სიმღერით გაემართენ ქალთა გიმნაზიისაკენ. ერთს მათგანს ხელში ეჭირა დროშა ზედწარწერით: ,,გაუმარჯოს აკადემიურ თავისუფლებას". ისინი მივიდენ ქალთა გიმნაზიასთან, სადაც ამ დროს სწავლა იყო, და მოითხოვეს, იქაც შეეწყვიტათ სწავლა. რადგან მათი თხოვნა არ დაკმაყოფილეს, დემონსტრანტებმა ფანჯრები ჩაამტვრიეს, რის შემდეგაც ქალთა გიმნაზიის მოწაფენი ჯერ-ჯერობით ოთხი დღით დაითხოვეს, სანამ პასუხი მოუვათ მთავრობისაგან. ამის შემდეგ მოწაფენი დაიშალნენ. პოლიციამ გონიერება გამოიჩინა და ხელი არ ახლო. სამწუხაროთ, ასე არ მოიქცა პოლიცია იმავე დღეს სხვა ადგილას. როცა მთელი გორის მცხოვრებლებმა ქალაქში დემონსტრატიულათ ჩამოიარეს; საარტილერიო მოედნის ახლო დახვდათ შეიარაღებული სალდათების ჯგუფი, რომელთაც, თვით ჩვეულებრივის ,,разойтись" უთქმელათ ხალხს რამდენჯერმე ესროლეს. ხალხი მაშინვე გაიფანტა, მოკლეს ერთი 12 წლის ბავშვი, რომელიც ტყვიას გაეგმირა, და თერთმეტი მძიმეთ დაჭრეს. დაჭრილები წაიყვანეს საავადმყოფოებში. ორი იმ დღესვე გარდაიცვალა. ექიმებს რამდენიმეს მორჩენის იმედიც აღარ აქვთ. ხალხი თავისთვის მშვიდობიანათ მიდიოდა, იარაღიც კი არ ჰქონდათ. წინააღმდეგობის გაწევას სრულებით არ ფიქრობდა. საკვირველი უფრო ის არის, რომ როგორც ამბობენ სალდათებს სროლა ნაბძანები არა ჰქონდათ.

—

ს. ქარელში პარასკევს 11 მარტს, შეგროვდა 400 კაცი და გადაწყვეტილებისამებრ მიუხთა ივ. ივ. ციციშვილს, რომელსაც ეზოში აუზიანი წყარო აქვს გამართული. ამ უბანში ეს ერთათ-ერთი სასმელი წყალია და თ-დ ციციშვილისგან რამდენიმე ხანია, მცხოვრებთ აღკრძალული ჰქონდათ ამ წყაროთი სარგებლობა. ხალხმა ეზო დაანგრია და წყარო გახსნა. ამ არეულობის დროს იქ იყო 4 სტრაჟნიკი. ხალხმა მოთხოვა მათ წასვლა და ისინიც წავიდენ. აქედან ხალხმა ჩამოუარა სხვა თავადებს და მოსამსახურენი წაართვა. ამ ამბის გამო საღამოზე გორიდან ამოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე 20 სტრაჟნიკით.

—

სოფ. ერთაწმინდიდან (გორის მაზრა) იწერებიან, რომ ,,იქაურ გლეხკაცობას მოუყრია თავი და მოულაპარაკნიათ თავიანთ დღევანდელ ჰირ-ვარამზედ. მოუთხოვიათ, რომ საკომლო გადასახადები შეძლებისა და კვალათ იქმნეს განაწილებულიო.

—

6 მარტს მალითას სადგურთან დაწვეს ბეჟათუბნის სოფლის კანცელარია ყველა საბუთის ქალალდებიანათ. ხარაგულის საზოგადოებამ გაანადგურა ადგილობრივი სოფლის კანცელარია და დახიეს ყველა იქ ნახული საბუთის ქალალდები.

—

ქართლში გაგზავნილი ბ-ნი ვეიდენბაუმი, როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილეს გენერალ მალამას უკან დაუბარებია, რადგან მოძრაობა ძალიან გამწვავდაო.

—

გუშინ, 16 მარტს, გორში გაიგზავნა ყაზახთა ეისკის პოლკის ორი სოტნია. ეს ყაზახები ორ რაზმათ წასულან. ერთში იყო 116 ყაზახი და 4 აფიცერი, მეორეში—117 ყაზახი და 3 აფიცერი.

—

სოფ. ქვემო-ავჭალის მეშამულის ი. ლორის-მელიქოვის სახლში დაბინავებულან გლეხები, რომელნიც ამტკიცებენ, ეს მამული ამ 13 წლის წინათ ჩვენ გვეკუთვნოდაო. ლორის-მელიქოვმა პოლიციას მიმართა და თფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე წაიყვანა. სახლი მათ დაკეტილი დახვდათ. ლორის-მელიქოვმა თხოვა მაზრის უფროსის თანაშემწეს, გატეხეთ კლიტე და ჩემ სახლში შემიშვითო, მაგრამ მან უპასუხა, მე მაგის ნება არა მაქვს და თუ გნებავთ, სამართალს მიმართეთო.

—

გორის მაზრის უფროსმა აცნობა გუბერნატორს, რომ ამ ჟამათ გორის მაზრის სოფლის კანცელარიებში საქმის წარმოება სულ არ არის, რადგან ზოგიერთ საზოგადოებაში გლეხები მუქარით აიძულებენ სოფლის მწერლებს და ჩაფრებს, თავი დაანებონ თავიანთ თანამდებობასაო.

—

თფილისის გუბერნატორმა გუშინ, 17 მარტს, მაზრის უფროსებს შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა: ,,იმ საბუთებიდან, რომლებიც ხელთა მაქვს, ჩანს, რომ ძლიერ ხშირათ გლეხთა მოძრაობა და უწესოება წარმოსდგება ხოლმე პოლიციელთა და სხვა და სხვა უწყების მოხელეთა უყურადღებო და გულ-გრილი ქცევით ამ გლეხთა მიმართ. სასტიკათ გიცხადებთ და გავალებთ სახეში იქონიოთ შემდეგი: 1) ამა თუ იმ საგანზე აღძრულ თხოვნების პასუხი გამოუცხადოთ პირდაპირ დაინტერესებულ პირებს და დაინტერესებულ სოფლის საზოგადოებებს. 2) პასუხი, რომელიც მთელ სოფლის საზოგადოებას შეეხება, უნდა გამოეცხადოთ მთელ საზოგადოებას საყაროთ სოფლის ყრილობაზე; 3) ეს პასუხი სასოფლო სამმართველოებში უნდა მომიკლოთ".

—

ქუთაისის ცენტრილური ნაწილის ყოფილი ბოქაული მახარაძე, რომელიც ლეჩხუმის ნაწილის ბოქაულათ გადაიყვანეს, 13 მარტს მოუკლავთ უცნობ პირებს.

—

«ჩერ. ვესტ.» იუწყება: მღვდ. დ. დუმბაძე ოზურგეთის გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სამართალში მიუცია! რადგანაც ხსენებულ მღვდელს ვარი უთქვამს მღვდელ-მოქმედების შესრულებაზე პოლიტიკური მიზნით მოკლულ ტ. ნაკაშიძის და ლ. გურიელის დასაფლავების დროს-

—

თბილისის მეჩექჩეებმა მუშაობაზე ხელი აიღეს. მოთხოვნილება ამგვარია: შეგირდები თხოულობენ პურის ფულათ დღეში 20—30 კაპ. ხოლო ტანისამოსისა და ბინისათვის თვეში 2 მ. ნახევარს. ქარგლები ითხოვენ წყვილ ჩექმაზე 50 კ. და სხვა საქმეზე 20—30 კაპ. ოსტატებმა სხვა და სხვა მიზე-

წების გამო ვარი უთხრეს ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე და კრება პარასკევისათვის დაინიშნა.

—

როგორც გაზ. «ევრეიას» აცნობებენ გლეხთა მოძრაობას ამ ბოლო ხანებში ფშავ-ხევსურეთშიაც გაუდგამს ფეხი.

—

გასულ თებერვალში: ზვარის, ჩდილოს, ნუნისის და ხორაგაულის მცხოვრებმა გლეხებმა შეფიცეს ერთმანეთს: არაა ვითარი საქმისათვის არ მივმართოთ არც სახელმწიფო დაწესებულებას და არც მოხელეებსო და ჩვენი საქმე ჩვენვე ძმურათ გავარჩიოთო.

—

გორში 15 მარტს შუა დღის ორ საათზე, რამდენჯერმე ჩამოკრეს სობოროს დიდი ზარი ხალხის დასაძახებლათ და ამის შემდეგ ქალაქ გარეთ მოედნისაკენ გაემართა დიდ-ძალი ხალხი. სულ ორი ათასამდე კაცი შეიკრიბა. ორატორები რიგ-რიგათ სიტყვებს ამბობდენ დღევანდელ მდგომარეობასა და ჭირ-ვარამზე, ხალხი სულ-განაბული ყურს უგდებდა. ბოლოს საზოგადოებამ დაადგინა: 1) გამოწვეულ იქმნას კრიმ გირეი, რომელსაც უნდა წარედგინოს გორის მოქალაქეთა მოთხოვნილებანი. 2) თხოვოს მაზრის უფროსს, რომ ნება მიეცეს გორის მოქალაქეთ ხუთი დღის განმავლობაში კრიმ-გირეის მოსვლამდე ყოველ დღე თავისუფლათ, პოლიციის დაუსწრებლათ, კრებები გამართოს, რომ კარგათ შემუშავდეს მოთხოვნილებანი და ამოარჩიონ დეპუტატები. 3. 14 მარტს დახოცილების დასაფლავების დროს პოლიციელები არამც და არამც არ დაესწრენ.

—

სოფ. კარალეთი(ქართლი). 13 მარტს თავი მოიყარა ათასმა კაცმა თავიანთ ჭირ-ვარამის გამოსარკვევათ. ამ ყრილობაზე ხუთასამდე ჭალი იყო. რამდენიმე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ხალხი გაემართა ერისთავის სახლისკენ, და წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი. თხოულობენ ნადელის გადასახადისაგან განთავისუფლებას, ტყესა და საბალახოს უფასოთ. ტყე მხოლოთ ხმელი უნდა მიეცეთ უფასოთ, ნედლი-კი როგორც გლეხთა მიერ არჩეული კაცები დააფასებენო. თავადმა ხელი მოაწერა ამ მოთხოვნილებებს. შემდეგ მღვდელს მიუბრუნდენ, და დრამაზე უარი განაცხადეს; ჯვრის წერა ორი მანეთი, დასაფლავება—ერთი მანეთი. მღვდლებსაც მოაწერიეს ხელი.

—

ოზურგეთი. 12 მარტს 100 პლასტუნი და 100 ყაზახი რუსი ბარგი-ბარხანით გაემგზავრა ჩოხატაურში, თან გაყვა გენერალი ალიხან-ავარსკი ამალით. ერთი კვირაა უველგან გურიაში დაიკეტა სამრევლო სკოლები. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლა არ დაწყებულა. ახლათ დაბანაკებული ჯარი ოთხი ათასზე მეტია. უწესოება არა მომხდარა-რა.

—

16 მარტს ქ. ბათომში გამოცხადებულ იქნა საომარ დროის წესების შემოღება.

—

17 მარტს, ქ. სოხუმში, დილით, ეკლესიის მახლობლათ ორ ბოროტ-გამზრახველთ მეორეჯერ უცდიათ ოლქის უფროსის პროგულბიცკის მოკვლა. ერთი დაუჭერიათ, მეორე იქვე მოუკლავთ სტრაჟნიკებს.

—

6 მარტს სოფ. თიღვში (ქართლი) გლეხობამ გადაწყვიტა, ბოიკოტი გამოუცხადონ მემამულებს და მღვდლებს. 8 მარტს სოფლის კანცელარიასთან ყოველივე კავშირი შეწყვიტეს და აირჩიეს ასის თავები და ათის თავები. მემამულეებს, ბოიკოტის მიზეზით, მოსამსახურეები არა ყავთ და პურს გორიდან ეზიდებიან. ვეიდენბაუმის და ჯანდიერის კომისიამ გომში ოქონის და ატოცის საზოგადოებები დაიბარა, მარა არავინ გამოცხადდა. გლეხებმა კომისიას შეუთვალეს სოფელ კნოლეში მოლითო. კომისია 13 მარტს უნდა მოსულიყო. ამ დღისთვის ხალხმა მოიყარა თავი დანიშნულ ალაგს. ერთმანეთს შემდეგი მისალმებით ეგებებოდენ: „გაუმარჯოს ერთობასო"! კომისია აღარ მოვიდა და აღელვებული ხალხი უკმაყოფილოთ გაიძახოდა: „რას დაგვათრევენ ხარებივითაო". ბევრი სიტყვა წარმოითქვა, გაკიცხეს კაცის კვლა, დაწვა და სხვა ამგვარი ძალმომრეობა. სამხრობისას ხალხი დაიშალა.

—

რამდენიმე დღის წინეთ სწავლა შეწყდა ტფილისის საკომერციო და სავაჭრო სასწავლებელში. სავაჭრო სასწავლებელში სექტემბრამდე შეწყდა სწავლა.

—

სიღნაღის საქალაქო სკოლის მოწაფეებმა შეაჩერეს სწავლა და წარადგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელიც შეიცავს თერთმეტ მუხლს.

—

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქიდან უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, გაწვეულ იქნა 400 ოფიცერი. ოფიცრები ხარბინში წავლენ.

—

14 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ საწყობის მუშებმა ხელი აიღეს მუშაობაზე. მუშები თხოულობენ: რკინის გზის სხვა მუშებთან ერთათ მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის „გუდოკზე" და ნაშუადღევის 3 საათზე თავდებოდესო. რკინის გზის გამგეობა კი არ თანხმდება და ამბობს: ამ საწყობის მუშები დღისით უნდა მუშაობდენ, რომ არაფერი არ დაიკარგოსო.

—

ქარელში ხელი აიღეს მუშაობაზე ლიანდაგის მუშებმა, როგორც თვიურმა, ისე დღიურმა.

—

14 მარტს ფოთში სამ უცნობ კაცს მოუკლავს ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი ავსიუკევიჩი. მკვლელნი ეტლში ჩამსხდარან და დამალულან. ამ ავსიუკევიჩს წინადაც დაცემიან, მაგრამ ვერ მოუკლავთ.

—

15 მარტს ქუთაისში გუბერნატორმა თავ. ჯამბაკურ-ორბელიანმა ხალ. განკარგულებამდე გააუქმა დადგენილება სწავლის დაწყების შესახებ ყველა სასწავლებელში. ამ ბძანებამ დაამშვიდა საზოგადოება და მოსწავლეები.

—

14 მარტს, ჰიათურელთა დეპუტაციამ თხოვა გუბერნატორს, გაიწვიოს ჯარი ჰიათურიდან, რადგან ხალხი ღელავსო. თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი დაპირდა, თვითონ ჩამოვალ ჰიათურაშიო.

—

ვარშავაში 13 მარტს, საღამოს 8 ს. და 15 წ. პრაგის ნაწილის უაზარმას ვიღაცამ ყუმბარა ესროლა, დაჭრა 4 გოროდოვოი, 2 გარეშე პირი და თავისი თავი. ორი სასაკვდილოთ არის დაჭრილი. ბოროტ-გამზრახველი დაიჭირეს. ხსენებულ ადგილისაკენ გაეშურა ობერ-პოლიცმეისტერი მოლკენი, მაგრამ გზაში მასაც ყუმბარა ესროლეს და მძიმეთ დაჭრეს სახეში და მარჯვენა ფეხში; დაჭრილი მის სადგომში

წაიყვანეს. ექიმების სიტყვით, მოლკენი არ მოკვდება. აფეთქების ადგილას დაიჭრა იქვე მიმავალი ქალი. ყუმბარის მსროლელი მიიმალა, მოკლა რა გოროდოვოი, რომელიც უკან მისდევდა მას.

—

ახალ-სენაკიდან იუწყებიან, რომ გენერალ ალიხანოვს იმათთვისაც გაუგზავნია ერთი როტა სალდათები.

—

სოფ. გურამიანთ კარში მრავალ ხალხს მოუყრია თავი, სოფლის მოხელეები გადაუყენებია და მათ მაგიერ 12 კაცი აურჩევია. აქაური მებატონენი ი. გ. ჭავჭავაძე და სტაროსელსკის მემკვიდრეები არ იციან როგორ მიიღებენ ხალხის გადაწყვეტილებას ადგილ-მამულის გაზიარების შესახებ. საგუბერნიო მოხელეებმა მღვდლებსაც ახალი ნიხრი დაუწესეს.

—

სოფ. ხოვლეს გლეხ-კაცობის შორის ეს მესამე წელიწადია, რაც მითქმა-მოთქმაა. ახდენდნენ ყრილობებს ჯერ ვიწრო წრისას. თანდათან იზრდებოდა ეს პატარა წრეები და ეს ერთი წელიწადია, რაც ცხადლივ დაიწყეს ჯგუფური ყრილობანი სოფელ გარეთ, ტყეებში და მინდორზე. პოლიცია ემუქრებოდა, ამწყვდევდა რამდენისამე დღით დაბარებულთ, რომ უეჭველათ ეთქვათ, მათში გურულები მოქმედობენ და ისინი აბრიყვებენ გულ-უბრყვილო გლეხთ „ბუნტობაზეო“. რასაკვირველია პოლიციამ ვერაფერი გააწყო, მხოლოთ ხალხი უფრო ჩაიფიქრა და დაბეჯითებით დაუწყეს ერთმანეთს მაგრება და უფრო დაინტერესდენ გურულების ამბებით. ამ ბოლო დროს მარტის პირველ რიცხვებში გვეწვია „კომისია“, როგორც აქ ამბობენ თავ. ჯანდიერისა. ამ კომისიის მოგზაურობის შემდეგ ხალხმა მიმართა ბოიკოტს მემამულეთა წინაალმდეგ. გაფიცვა იყო ოთხ დღეს, რომელიც გამოიხატა მოსამსახურეების დათხოვნაში. ამის შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება გლეხებსა და თავად-აზნაურთა შორის და როგორც ამბობენ, მორიგდენ კიდეც.

—

იაპონიასთან ომის გამო ფინანსთა მინისტრის წინადადებით უნდა მოემატოს გადასახადი:

1) ბაჟი ანდერძით ქონების გადაცემაზე სამი მილიონი მანეთი, რაც საშვალო შემოსავალ 30 % აღემატება

2) აკციზი ლუდზე (პივო) სამი მილიონი სამასი ათას. მანეთი (3.300.0000) რაც 1905 წლისათვის გაწერილს. 33$^1/_3$ % აღემატება.

3) აკციზი ასანთებ სპიჩკებზე განზრახულია ძლიერ გადიდდეს.) უნდა მოიმატოს რვა მილიონი (8.000.000. მანეთი. წინა წლებთან შედარებით 100 % მეტია. ე. ი. აკციზი გაორკეცდა.

4) აკციზი დროების განზრახულია გადიდდეს ორ მილიონ რვაასი ათასი მანეთით (2800.000 მ.)

5) აკციზი ნავთზე მოიმატებს ორ მილიონ ექვსას ათას მანეთს. (2600.000.). დასასრულ

6) პენსიის კაპიტალიდან გამოირიცხება ორი მილიონი (2,000.000 მან.

ყველა აღნიშნულ წყაროებიდან შემოვა (21.750.000 მან. ოცდა ერთი მილიონ შვიდას ორმოცდა ათი ათასი მანეთი.

— განზრახულია აგრეთვე მოუმატონ საგერბო გადასახადს: სახელდობ: 5 კაპ. აიყვანონ 10 კაპ. 10 კ.-15; 15 დან. 20-დე. 60-დან. 80; 1 მანეთიდან 1 მ. 25 კაპეიკამდე.

შინაური მიმოხილვა.

—

ცხოვრება მეტათ გამოფხიზლებული და გარეულებულია. ყოველ დღეს და ყოველ წამს მოაქვს ამბავი ამა თუ იმ კუთხის გამოფხიზლებისა და ხალხის ფეხზე დადგომისა. მეტათ ბევრი გაჭირვება, დაბრკოლება და შეურაცხყოფა გადიტანა ხალხმა, იმ ხალხმა რომელიც დღემდინ მუქთახორების საწველ-ფურათ იყო გამხდარი; ბევრი, ძლიერ ბევრი შოთმა და მაცადინობა დასდო დაინტერესებულმა წრეებმაც, რომ ხალხი კვლავ ბნელეთის ზეწარში ყოფილიყო გახვეული, რომ მას არ შეეგნო თავისი მდგომარეობა, არ მოეთხოვა თავისი უფლების აღდგენა: მაგრამ გაჭირვებამ ერთი მხრით და უმთავრესათ, ხალხის შვილთა იმავე ხალხის გასაცნობიერებლათ თავგანწირულმა შრომამ მეორე მხრით ვაარღვია ბნელეთის კედელი, დაანახვა ხალხს მტერი და მოყვარე და დადგა განკითხვის დღე. დღე სანეტარო და სანაჯერელი მშრომელ უმრავლესობისათვის, ხოლო თავზარ-დამცემი განებივრებული უმცირესობისათვის. ხალხი ამდგარია თავის ინტერესებისა და ადამიანური უფლებების დასაცველათ, მთელი ჩვენი მხარე მოცულია ამ დიადი მოძრაობით, ყოველ მხრიდან მოდის ამის დამამტკიცებელი ცნობები. ჩვენც შევხარით ამ მოვლენას და მოუთმენლათ ველით ახლა მომავალს, თუმცა ვხედავთ, ზოგან არა სასურველ ექსცესსებსაც აქვს ადგილი, არა სასურველს იმ მოსაზრებით, რომ სასურველია მოძრაობა იყოს ორგანიზაციული, მწყობრი, სერიოზული, შეგნებული და აიცილოს ნაადრევი მსხვერპლი; მაგრამ ეს ხომ იდეალია, ასეთი მხოლოთ სანატრელი მიმდინარეობა იქნება! სინამდვილეში კი იდეალი არასოდეს არ განხორციელდება, და შეთხვევითი მსხვერპლიც, ანუ როგორც ვთქვით ნაადრევი, აუცილებელია. ამიტომაც არის რომ ეს ჩვენ არ გვაფიქრებს. საჭიროა გავითვალისწინოთ მხოლოთ ის დიადი მოვლენა, რომლის მოწმე და მონაწილე ჩვენ ვართ, და ხელი შევუწყოთ მიმდინარეობის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას. მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენი ბურჟუა-ინტელიგენტები ახირებენ...

***

დავიწყოთ უკანასკნელთაგან. რა უნდათ ამათ? რამ აიშფოთა ისინი? სულ მცირე რამემ, აშკარათ დაინახეს, რომ სანამ ისინი ნაციონალისტური კრიმანჭულით იტკბობდენ საკუთარ სმენას, ხალხს გამოუღვიძია, მოძრაობა შეუქნია და კაცობრიობის განმათასუფლებელ ბრძოლის მონაწილე გამხდარა. შეკრთენ, რასაკვირველია, «ინტელიგენტები». მათ ეგონათ, ხალხი მათ კაბინეტებში იყო მომწყვდეული, სინამდვილემ კი სხვა დაანახვათ; დაანახა, რომ ხალხი სხვა ყოფილა და ნაციონალიზმი კიდევ სხვა, მათ შორის საერთო არა ყოფილა რა; მაგრამ ამის აღიარება მათ არ შეუძლიათ, რადგან ერთი მხრით მათი ბურჟუაზიულ ინტელიგენტური აზროვნება ვერასოდეს ვერ მივა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოთ იმ პროგრამას აქვს მტკიცე ნიადაგი, რომელიც თვით ხალხის გულის ნადების, მისი მისწრაფებათა გამომხატველია და მეორე მხრით კიდევ იმიტომ, რომ თავის თავის უარყოფა შეუძლებელია. მაშ რა უნდა ექნათ? სწორეთ ის რაც მოიქმედეს და კიდევ მოიქმედებენ. მოინდომეს მზა-მზარეულზე დაბინავება, მოძრაობის «სწორ ჩარჩოში» ჩაყენება და თავისი გზააბნეული ნაციონალისტური მოთხოვნების შეჩეჩება. მაგრამ ბედმა უმუხთლათ, მოლოდინი არ გაუმართლდათ. ხალხის სიფხიზლე გადაეღობა წინ მათ მისწრაფებათ და ისევ კაბინეტებში დარჩენ—დღეს ისევ იქ არის „მოძრაობა“. იქ იწერება შეურიგებელის შემარიგებელი პროგრამები, ძმართება

დახურული, კარჩაკეტილი ბანკეტები, იხარჯება მაღალ-ფარდებიანი რეჩები, იწერება უკვლა წრის წარმომადგენელთა სახელით რეზოლიუციები და სხვა და სხვა... ასეთი ,,მოძრაობაა'' დღეს ჩვენ ბურჟუა-ინტელიგენტებში, და მათ თამამათ შეუძლიათ თქვან: ,,шумимъ, братецъ, шумимъ''-ო! თითონ ხომ კმაყოფილი არიან. ვუსურვებ არაფერს დაერღვითს მათთვის ეს კმაყოფილება, მხოლოთ ერთს კი ვურჩევ: სანამ ქართველი ხალხის ან ყველა წრის წარმომადგენლების სახელით რასმე მოითხოვდენ, თუნდ ისეთს, როგორიც ეკლესიის დამოუკიდებლობაა, თვით ამ ხალხს შეეკითხონ. დღეს მაინც აშკარაა, რომ ხალხს აპეკუნები არ უყვარს და ესეც რომ არ იყოს, უბრალო ზრდილობა მოითხოვს, აზრი მაინც გაიგო მისი, ვისი სახელითაც გინდა ილაპარაკო...

* * *

ამ აპეკუნობამ და არამკითხე ბატონობამ მიაღწია ის სტიქიური სახე აღმოსავლეთ საქართველოს მოძრაობას, რომელმაც შიშის ზარი დაცა ჩვენ ბრწყინვალე წოდებას ქართლში, და ქუდზე კაცი... თფილისში ჩამოიყვანა. მეტათ საინტერესო იყო ქართლის მოძრაობის შესახებ მოხსენებათა თფილისში. ბევრი რამ საინტერესო გამოირკვა იქ. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება რომ ამ მოლაპარაკებაში თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს შედარებით რიგიანათ ეჭირა თავი და ყოველ შემთხვევაში მაცადინი იყო როგორმე შეეჩერებინა ის არა-სასურველი მოვლენა, რომელიც კერძო პირთა და ქონების უზრუნველყოფის წინააღმდეგ არის მიმართული. უკრო სიმპატიური ხჩებოდა ამათი ფიზიონომია, როცა მათ გვერდით ,,ველურ მემამულეთა პარტიას'' მოკრავდით თვალს. თუ პირველნი მზათ იყვენ დღესვე ,,დაეთმოთ'' რამდენიც შესაძლებელი იყო, მეორენი დათმობის ნაცვლათ ტყვილსა და მახვილის დახვედრებას უპირებდენ. ,,როგორ შეიძლება დღეს დათმობა, ამით ხომ იმ რწმენას გავუმტკიცებთ, რომ მათ ძალას შევეშინდითო'', ამბობდენ რაინდები. ჩვენ ვუსმენდით ამ რაინდულ სიტყვებს, თუმცა ბოლო კი გვაკვირვებდა ,,ჩემი გლეხი როგორ იქნება ჩემი წინააღმდეგი, როცა უჩემოთ იმას სიცოცხლე არ შეუძლიაო, ამბობდა ძველი ფეოდალი და არ გრძნობდა, რომ სწორეთ ამ გარემოებამ დაბადა ის წინააღმდეგობა, რომელსაც მჭევრმეტყველურათ, უარყოფდა ფეოდალთა იდეოლოგი. სწორეთ ის არის მოძრაობის მიზანი, რომ ,,უშენოთ'', ,,უბატონოთ'' იცხოვროს ,,შენმა'' ყოფილმა გლეხმა და მოგისპოს მაგ სიტყვის თქმის უფლება. ყველა ქართველები ვართ, ჩვენ რა გვაქვს გასაყოფი, ამბობენ ენამჭევრი რაინდები. მაგრამ ეს ხომ ათი წლის ბავშვმაც იცის დღეს, რომ ყველა ქართველი ძმა არ არის და არც იქნება დღევანდელ სოციალურ პირობებში. არ იქნება ეს სანამ შენ „შენი გლეხი" გეყოლება და მე „ჩემი ბატონი", სანამ შენ ბედნიერი ხარ და მე დაჩაგრული. მაგრამ ამაზე ლაპარაკიც მეტია. არავინ არ ფიქრობდა, რომ თავად-აზნაურთა კერძო თათბირი სოციალურ კითხვებს გადაწყვეტდა. იქ საზრუნავი და მოსაგვარებელი იყო დღევა დელი საკითხი—როგორ მოვაშოროთ მოძრაობას ის მწვავე ექსცესები, რომელმაც ქალაქისაკენ მოაშურებინა გლეხობა, როგორის თავად-აზნაურობას; და სამწუხაროთ მისი ისე დაყენებაც კი ვერ მოახერხეს, როგორც ეს ყველა ქვეყანაში განუზრახავთ. იქ გადაწყვეტილათ გლეხთა და თავად-აზნაურთა საერთო კომიტეტების შედგენა, რომელთაც მინდობილი ექნებათ გააწარმოონ ის პირობები, რომელსაც შეიძლება ორივე მხარე დამოუკიდებლად დაიმორჩილოს და მით დროებითი ,,modus virendi'' შეიქმნას.

გაზაფხულის დღის მოახლოვებას ისიც მოწმობს, რომ ჩვენ შვილებსაც კი ვეღარ დაუდვიათ გული სწავლისათვის. დიდ ცდასა და შრომას ანდომებს ჩვენი სასწავლებლების მთავრობა, აღადგინოს ნორმალური მიმდინარეობა სკოლაში, მაგრამ ყოველივე ფუჭია. მართლაც რომელ მშობელს შეუძლია მოითხოვოს შვილს არითმეტიკულ ამოცანების ჩაკირკიტება ან კოტოშირინის გაზეპირება, როცა გარშემო ყველაფერი მოძრაობს და ყოველ მგრძნობიერ არსებას იწვევს—ჩაებას განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. განა ახალთაობა, ყველაზე უფრო გრძნობიერი და სპეტკი არსება არ არის ადამიანთა შორის? მაშ რა უფლებით შეგვიძლია მოვთხოვოთ მათ სახელმძღვანელოებით დაკმაყოფილდენ დღეს, როცა ყოველ წამში ქარტეხილია მოსალოდნელი. ბევრს იმდენი სულის სიმშვიდე მაინც შეურჩენიათ, რომ პრინციპიალური კითხვის გადაწყვეტა უნდათ: საჭიროა თუ არა, მოსწავლეთა ამ ბრძოლაში ჩარევაო. ბედნიერი არიან ასეთები! ჩვენ კი ვიტყვით, რომ დღეს გუშინდელი დღე აღარ არის, როცა კიდევ შესაძლებელი იყო დამშვიდებით შინაურ და საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობა, დღეს ყველა ნერვებით ცხოვრობს, გარემო არე გაჟენთილა საჭირ-ბოროტო კითხვებით, სულის სიმშვიდე დარღვეულა და შეუძლებელია აკადემიურათ კითხვების გადაჭრა. ვისაც შეუძლია, სულის სიმშვიდის დაცვა დაიცვას, ვისაც არა ჩაერიოს ბრძოლაში. აქ ,,თეორია'' და ,,პოლიტიკა'' წყლის ნაყვაა. დღეს საქმის დროა და არა სიტყვების... მაშ განსაჯოს ყოველმა ცალკე და ყველამ ერთათ, თუ რით შეუძლია ხელი შეუწყოს ძველის დამხობას და ახლის გაძლიერებას, მის გამარჯვებას და ისე მოიქცეს, როგორც სინდისი ურჩევს: თუ ამისთვის საჭიროა სწავლის განგრძობა განაგრძეთ, თუ არა და... ესეც თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. პოლიტიკანობა და თავისუფლება ერთათ კი ვერასოდეს ვერ მოთავსდებიან და დარწმუნებული არიან ასეთ მრჩეველებს დღეს ყურს არავინ არ დაუგდებს, მათ გასაგები არა აქვთ. დღეს მხოლოთ პირდაპირი მოქმედებით შეიძლება საქმის ხელის შეწყობა და ვისაც სურს შეუწყოს...

ნარი.

კორრესპონდენციები.

ჟუთაისი. ადგილობრივ დურგლების და შეჭქვეების მოთხოვნები შემდეგია.

დურგლების მოთხოვნები: 1. საქმის ამდენ ოსტატს ნება არ აქვს ორი შეგირდი იყოლიოს; უნდა უყვდეს მხოლოთ ერთი; ნება აქვს შეგირდის ყვდა რომ დადგება თვეზე, მეორე ახალი შეგირდი აიყვანოს და ერთიც ქრგვლა იყოლიოს შემთხვევისათვის.

2. საქმის ამდენ ოსტატს ნება არ აქვს, მანამ აღებულ საქმეს არ გათავებს, მეორე ახალი საქმე აიღოს, მხოლოთ ნება აქვს „ბანინგზე" გაიგდეს და 25—50 მან. სამუშაო აიღოს. შემთხვევით აქვს ნება საქმის ბატრონ ოსტატს დღეურ ქარაში წაიგდეს.

3. დღეური მომუშავე დაიწყებს მუშაობას 1 აპრილიდან დამდეგ აგვისტომდე დილის შვიდი საათის შესრულებიდან და ამუშავებს საღამოს მზის ჩასვლამდე; მოსვენება დილით სუზმეზე ნახევარი საათი, ხოლო ნაშუადღევს სადილით ორი საათით, დანარჩენ თვეებში, დილის მზის ამოსვლიდან, საღამოს მზის ჩასვლამდის უნდა იმუშაოს და დასვენება ექნება სადილით ერთ საათი.

4. ოსტატი საქმის ბატრონი რომ ნაკრათ საქმეს გვტემს, მან ამდენს ფასი უნდა მიცეს იმ ნაწერზე, რომელსაც ამ ხელობაში დაწესებული, მხოლოთ საქმის გამცემმა უნდა აიღოს საშრომლათ ყოველ მანათზე 20 კაპ.

5. ოსტატი და ადა რომლა ერთმანეთში ვერ მორიგდებიან, ადამ ოსტატი უნდა გაუშვას. ამ შემთხვევაში ამათ უნდა მოიყვანონ უსტაბაში და მისი თანაშემწე და ამათ თანადასწრებით უნდა გასწორდეს ერთმანეთთან და მაშინ ნება ექნება ოსტატი ამუშაოს ადამ; და თუ ასე არ შეთანხმდებიან ერთმანეთში, ადას არ აქვს ნება ოსტატი ამუშაოს და არც სხვა ოსტატმა ამუშაოს.

6. 1905 წლის მარტის პირველამდე რაც შეგირდებია აუვანილი, ამათ უნდა შეასრულონ გადა, მხოლოთ უნდა გადასინჯოს მათი პირობა უსტაბაშმა და მისმა თანაშემწემ. 1905 წ. მარტიდან კი ნება არ არის რომელიმე დურგალმა აიყვანოს შეგირდი სამი წლიდან 5 წელიწადზე ნაკლები ვადით.

7. უველა შეგირდის ამყვანი ოსტატი ვალდებულია შეგირდი და პირობის ქაღალდი წარუდგინოს უსტაბაშს და მის თანაშემწეს.

8. ვისაც არ შეუძლია და არ ეკუთნის შეგირდის წყვლა, როგორც ხელობის, ისე უოფა-ქცევის მხრით, ამას ნება არ აქვს შეგირდი აიყვანოს.

9. ზემო ხსენებული ნიხრის და წესების შესრულების ვალდებულნი ვართ ქუთაისის დურგალთა მოხელენი. აგრეთვე ვალდებულნი ვართ ვიხადოთ თვეში 10 კაპ. თითოეულმა მოხელემ ისევ ჩვენ მოხელეთა გაწეირებულ და დავრდომილ ქვრივ-ობლების დასახმარებლათ. ვინც 10 კაპ. იხდის, ამან უნდა მიიღოს დაბეჭდილი კვიტანცია უსტაბაშისა ან მის თანაშემწისაგან. ზემოხსენებულ ნიხრის დაწესების თანახმანი ვართ უველანი. ამასთან უნდა შევიდეთ მოხელე დურგალს ნება არ აქვს შეგირდი აიყვანოს.

10. კვირა დღეობით შეგირდებს ნება აქვს სკოლებში თავისუფლათ იარონ 11 საათიდან 3 საათამდე.

დურგლებმა თავიანთი მოთხოვნანი წიგნაკათ გამოცეს და მას უოველივე სადურგლო სამუშაოების ფასი ნაწრა-ნაწრათ წაუმძღვრეს და ამ პირობებით შეუდგენ განსხვებულ მუშაობას. ეს წიგნაკები უველა თავის მოხელეებს ჩამოურიგეს და ამასთან ის წინადადებულება იხმარეს, რომ ვინიცობაა, ეს პირობები ვინმე მათგანმა დაარღვია, ამ შემთხვევისათვის პირჩიეს თავიანთ წრიდან სულ ახალგაზრდებისაგან შემდგარი მსაჯულები და ისინი განიხილავენ უოველივე სადაო საქმეებს. ასე რომ ხალხური სამართალი სოფლებიდან ქალაქებში შემოდის და ეს ხომ დღეს კარგი მომავლის ნიშნებია.

მეჩექმეთა მოთხოვნები: 1. 12 საათის სამუშაო დღე, როგორც ქარგლებისა, ისე შეგირდებისათვის. დასვენება: დილას საუზმეზე ნახევარი საათი, სადილისათვის კი ერთი საათი.

2. მუშაობა უნდა დაიწყოს 1 აპრილიდან დილის 7 საათზე და გათავდეს სალამოს 7-ზე; 1 ოქტომბრისთვიდან დაიწყება 8 საათზე და გათავდება სალამოს 8-ზე.

3. აკრძალულ იქნას ნაწრობით მუშაობა და დადგინდეს თვიური ჯამაგირები.

4. აკძალულ იქნას კვირა-უქმე დღეებში მუშაობა.

5. ადების ზრდილობიანი მოქცევა ქარგლებთან და შეგირდებთან.

6. გაუმჯობესება ბინის.

დღეს, როდესაც უველა 7, 8 და 9 საათის სამუშაო დღის დადგენაზე დაბარაკობს, მეჩექმეების მოთხოვნას ამ საერთო ფერხულში საკმაო დასახასიათებელი შეაქვს. ორში ერთია: მეჩექმეები ან იმდენათ შეგირდებულნი არიან ნამეტანი მუშაობით, (ამგვარსავე მდგომარეობას განიცდიან მწუღე და მკერავებიც), რომ გაბედული ნაბიჯი ვერ გადადგამთ წინ სამუშაო დღის მოკლებაში, რათა სულ არ დაეთხოვონ ადები, ან და ეს დათმობა მათთვის დროებითაა, რომ უკეთესისთვის შეამზადონ სხვის ნაშრომზე თვითონი ბედის ამშენებელნი...

—

სოფ. **გეზათი** (ქუთაისის მაზრა). 6 მარტს სოფელმა დადგინა თერიდ საუურადღებო განიჩნი. ეი საქმე რაში იყო.

12 წელია ერთი მხარე გბრძვის მეორეს წისქვილის წყლით შეტბორვას და გაუქმებას. სხვიერი ჯერ მომრიგებელ-მოსამართლესთან წარმოებდა და ჩვეულებრისამებრ გაწიანურდა. მერმე ვექილების რჩევით გადაიტანეს ოლქის სასამართლოში და შეამოწმებიეს გამოცდილ ტეხნიკებს. საქმე მეტის მეტათ გაწიანურდა და ხალხი-კი უსამართლობას ითმენდა. მობეზრებულმა მომჩივან-მოპასუხეებმა ბოლოს მიაგნეს ნამდვილ საშვალებას და ხელწერილით შეკრეს სოფლის ამორჩეულ კაცებს გადაწყვეტილების დაყოლდენ. სოფლის ამორჩეულმა პირებმა დაადგინეს, რომ ძველი წისქვილის დაურუბა ახალის აშენების ბრალით და გადაწყვიტეს მოპასუხეთა წისქვილის სათავანის გაკრა, რაც მოხრე დღესვე სისრულეში მოიყვანეს. გაკრეს სათავე და დაშრეს ის აშმორებული გუბე, რომელიც ჰაერს წამლავდა და გამწყლულ-გამომწყლულ მგრავრებს საქმეს უწყრებდა. ამით მოელო ბოლო ამ დაუსრულებელ დავას. ხალხის სამართალი უფრო ჩქარი და სამართლიანი გამოდგა, რადგანაც ათასგვარ ხრიკების ეექილებისს მოკლებულია. მისასბაძი მაგალითია გეზათელი გლეხების საქციელი მეზობელ სოფლელთათვის.

გოგობერია.

—

სამტრედია. შიშის გრიგალმა დაბერა ჩვენს „ხაზეინებს“ და მათი მშვიდი უნიშანწყლო ცხოვრება შეარყია. რა მოხდა? მათ გაიგეს, რომ ჩვენ, დაბერისვებულ ნოქარ-ქარგლებმაც, ამოვიდეთ ხმა, მივვცეთ ერთმანეთის ხელი, შევეერთდით და შევქმნათ ძალა საერთო ინტერესების დასაცველათ. იქით ეტენ აქეთ ეტენ, ჯერ ერთი რომ —ჩვენს წარმომადგენელს დაუწყეს ძებნა და დიპლომატური მოლაპარაკება. განა საკვირველი არ არის, რომ ბატონი „ხაზეინი“ მშრომლების წარმომადგენელს ეძებს, შეიკეებას თხოულობს, დათმობას გვპირდება! ჩვენ კი დასათმობი არა გვაქვს რა. ჩვენ არაფერს ვთხოვთ, არამედ ვთხოულობთ—ჯერჯერობით:

ა) მოისპოს მუშაობა კვირა-უქმე დღეობით.

ბ) საქმის დღეებს, როგორც სახელოსნო, ისე სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობა იწყებოდეს დილის შვიდ საათზე და თავდებოდეს სალამოს რვა საათზე.

გ) შაბათობით და სხვა უქმეების წინ მუშაობა თავდებოდეს სალამოს შვიდ საათზე.

დ) მოგვეცეს ნახევარი საათი საუზმისათვის და ერთი საათი სადილისათვის.

ე) თუ რომელიმე ჩვენს ამხანაგს ხაზეინის სჯმულ-სასმელი არ აკმაყოფილებს, მას დღიური საზრდო ფასი მიეცეს ფულათ.

ვ) ვთხოულობთ ადამიანურ, ზრდილობიან, მოპყრობას. არც ერთი ადამიანის დამამცირებელი სიტყვით ხაზეინმა შეგირდს არ მიმართოს; არც ერთი დამამცირებელი საქმე მას არ შეუკვეთოს. თუ ვინმე გარეშე პირი შეგირდს შეურაცხყოფას მიაყენებს, ხაზეინი ვალდებულია დაიცვას ის (შეგირდი).

ზ) ვთხოულობთ გიგიენურად მოწყობილ ბინას.

ჱ) ჩვენ ვთხოულობთ, რომ სახელოსნოებში მოსპობილ იქნას კერძო წოდებული „ხელზე მოსამსახურეობა“. მიიღებენ სახელოსნოში შეგირდს თუ არა, მას მაშინვე ხელობის სწავლა უნდა დაწყებინონ.

თ) სახელოსნოებში და სავაჭროებში შეგირდები მიღებულ იქნას არა ნაკლებ 12 წლისა.

ი) შეგირდობის ვადათ დაწესდეს სამი წელიწადი.

კ) ავთმეოფ შეგირდს ხაზეინმა შემწეობა აღმოუჩინოს, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს.

ლ) კვირა უქმე დღეებს გარდა მიეცეს შეგირდს რამდენიმე დღის თავისუფლება (отпускъ) ძალიან საჭირო შემთხვევებში.

ბ) შეგირდის დასჯა და დათხოვა მიზეზის გამოუკვლევლათ და ჩვენი წარმომადგენელის დაუკითხავათ არ მოხდეს.

ეს არის ჯერჯერობით ჩვენი მოთხოვნილებანი. ისინი დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებული უნდა იქმნან.

ორშაბათის გვესტუმრა მაზრის უფროსი დადიშქელიანი. შეკრიბა ვაჭრები და განუცხადა: „რომ რამეს გვაკეთებდეთ, მე თითონ არ დავზოგავ თავს, მთელ სვანეთს ჩამოვიყვან და დაგეხმრებითო—თქვა მან—მაკრამ ტყვილათ გავწუღებით. არაფერი გაკეთდებაო“. შემდეგ გამოაცხადა, თქვენში სამხედრო წესი შემოიდეს და დამნაშავე 24 საათში დაისჯებაო. „გირჩევთო—დაუმატა—ვინც სამტრედიელი, ან ვინც ამ მაზრის არ ხართ, ეხლავე აიღოთ ბარგი და თქვენს მაზრებში წახვიდეთო“.

მეხოვრებთა და ვაჭართა უმრავლესობა კი აქ გურულებია.

მოვიდა 80 კაზაკ-რუსი და დაბინავდა სახოგადო ორკლასიან სკოლის შენობაში. მასწავლებელი, რომელსაც სკოლის ოთახში ჭონდა ბინა, იძულებული შეიქნა ბაზარში ქირებნა თავშესაფარი.

სწავლა შეწყვეტილია სამტრედიის რკინის გზის, სახოგადო ორკლასიან, გულაშის ორკლასიან, ეწრის, იანეთის და სკვილოს სკოლებში.

ამ დღეებში აქ წაართვეს სტრაჟნიკს თოფი და რკინის გზის სტოროჟა ს ორი რევოლვერი.

დაბის მაერ ცარულათ დანიშნული ბირი ბოლიციამ ტყვეტიმრა.

—

ᲓᲣᲛᲔᲗᲘ. ის მოძრაობა, რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო, ამ ბოლო ხანებში დუშეთის მაზრაშიაც შემოაჭრა, მეშვიდეთა და გლეხთა შორის ატეხილი უსიამოვნება დღითი დღე მწვავდება. მამულის შესახებ უთანხმოება უმთავრესს საკითხს შეადგენს ჩვენს სხვა მხრივ ჩამორჩენილ ცხოვრებაში. აქაც ხშირათ ხდებოდა შეტაკება გლეხთა და მებატონეს შორის. მაკლდითათ შარშან წინ სოფელ სამებუროს მემამულეებსა და გლეხებს შესავოვნება მოუხდათ მამულების შესახებ და სახოლოთ საქმე გლეხების სასარგებლოთ გათავდა. სახნავი, საძოვარი ადგილი და ტყე აქ ისეთია შეღავათიანი პირობებით არის, როგორც სხვაგან არსათ. აქ თუ ასეა, სამაგიეროთ საგურამოს სოფლები უკიდურეს გაჭირვებას ითმენენ მემამულეთაგან, ასევე გაჭირვებული არიან მუხრანელი გლეხები. ერთმა საგურამოელმა გლეხმა შემომჩივლა: „ველი გლეხი გაჭირვებულ მდგომარეობაში არის, მაკრამ ჩვენი შავბედი ენით გამოუთქმელია. ჩვენ თავ. წულუკიძისა და სტაროსელსკის მამულზე ვცხოვრობთ. თავ. წულუკიძე და სტაროსელსკის შვილები ერთი სუფნი შუშის ბაყთ თუმანს გვახდევინებს. «საბოლო» შუშის ბაყს წელიწადში 5 მანეთს ვიხდით, თითო ხარის სასმელახოთ წელიწადში 3 მანეთს ვიხდით. რაც შეეხება ბურის მოსაყვანს, ამისას ნურას მკაითხამთ შენი ჭირიმე. იმდენს გვახდევინებენ, რომ სათესლე აღარ დაგვრჩა. ჩვენი განთქმული ბური თითქმის მოგვესპო. ჩვენ ველარ მოვითმინეთ ესა და ისევ ძველებურ დაღას დაეუბრუნდით, დღიურზე ერთი კოდი ხორბალი. ტყის ბაჟიც ხუთი მანეთი გადავიწევიტეთ. სამი წელიწადია ვეხვეწებით წულუკიძესა და სტაროსელსკის, მაკრამ არავითარი ეურადღება არ მოგვექცეს; ჩვენ-კი მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლიაო“, ამოიოხრა, გამომესალმა და წავიდა. შემამულეებს თან მიაყოლეს მდვდელი, ბერები, მამასახლისები და მწერლები, რომლებიც სიონეში ქადგენ სოფლის ცხოვრებას, მარა ხალხისთვის ზარალის მეტი არაფერი მოუუნებიათ,

დღეს ეკლეს ახლანდელ მოძრაობაზე დაბარაკობს, მაკრამ არც შინაური ამბებია სულ მისაწუენებელი. მაკლდითათ აღარავინ ეურადღებას არ აქცევს აქაურ ერთათ ერთ გაყების სასწავლებელს, რომელშიაც ბავშვების მხოლოთ თუთიეუშიენით ეზეიარებენ ეკლესიერს. არ აინტერესებს დუშელებს არც საქალებო სკოლის ბედი, სადაც თურმე საკლათები ტრიბუკას თამაშობენ. იმისი გამგისა და მმართველის წუხლობით ვერც ერთ რიგიან მასწავლებელ ქალს ვერ უბოგინებია სასწავლებელში.

ესეც ახირებული ამბავია, მაკრამ მღვდელს ქელეხიდან წამოსულს გზაში სახარება და ჯვარი დაეკარგა, ვიღაც ხლეხებმა იპოვნეს, მაკრამ კამხელა შეეშინათ, არსერ სათაბადაში გაგზავნა და მოხუც მღვდელს შეატყობიეს სიდუმლოთ. იმან იცოდა ჯვარი დამთვრალ ბადაგრიანს რო დაკარგოდა და შეპირდა გლეხებს: ნუ გეშინიათ ამ ნივთებს მე გადავცემ პატრონსაო. ლოთობა რომ მოსწორი იყოს, კარგი მისაბაძი მაგალითი იქნებოდა სწორეთ.

ქვემოური.

რუსეთის ქრონიკა

„რუს. ვედ.“ მოუვს მღვდელი ალ. სმირაგინის წერილი, რომელშიაც ავტორი სხვათა შორის ამბობს: „მართლმადიდებელი ეპისკოპოსები და მრავალი სამღვდო პირნი სიტყვით თუ წერილობის სამუალებით მოუწოდებენ „ეკლეს ნამდვილ რუსებს სურთო ძალით დაიცვან თანამედროვე სახელმწიფო წეს-წყობილება“. რაგანაც ხალხის ბუნდოვანს გამოთქმა ასეთ დიდმნიშვნელოვან კითხვის გარკვევის დროს, არა თუ წუმარიტების აღდგენას უშლის ხელს, არამედ თვით ორატორთა პირადებასაც ჩარქს ცხებს, ამიტომ ეოველის უწინარეს საჭიროა გამოარკვეს: თუ რა არის „თანამედროვე წეს-სუობილება?“ თუ ამ სახელით უნდა ვიგულისხმოთ ისპაუროკრატიული მართვა-გამგეობა, რომელმაც შეარცხვინა რუსეთის სახელი და ააოხრა ქვეყანა, რომელმაც მტერს ჩაუგდო ხელში უმთავრესი ბურჯი აღმოსავლეთისპორტ-არტური, რომელმაც მტერს გაუნადგურებია პირველხარისხოვანი სამხედრო ფლოტი; რომელმაც უსაფუძვლო ომს შესწირა მრავალი ათასი მეომარი და მრავალი მილიონები, მაშინ ცხადია, რომ ეოველი გონიერი რუსი უნდა ცდილობდეს არა ამ წეს-წყობილების გამაგრებას, არამედ ხელი შეუწყოს მისს მოსპობას და გაანადგურებას. ის სახელმწიფო მანქანა, რომელსაც ჭონდა სამჯერ უფრო ძლიერი ფლოტი და ეკვდა ოთხჯერ უფრო ძლიერი ჯარი, ვიდრე იაპონიას; გარდა ამისა ჭონდა მეტი სიმდიდრე და ეკვდა მეტი ხალხი და მიუხედავათ ამისა მიეევანა რუსეთი ასეთ საზარელ დამარცხებამდე, როგორც ხმელეთზე ისე ზღვაზე, ჩანს რომ ეს სახელმწიფო აპარატი არაფერით მოსახმარი არ ეოფილა...

ამ რეეიმის დამცველნი თავის მსჯელობის დროს მიუტევებელის უცოდინრობით სარგებლობენ სიდმრთო წერილის ციტატებით.

ეი მაგალითათ, აიღებენ ხირველ დაქსს სოლომონის იგავთა კრებულის მე-21 თავიდან, მიუჩვენათ იმასა თუ რა კავშირი აქვს მას წინა ნაწილთან ან შემდეგ მუხლთან და ამბობენ: „გული მეფეთა არის ხელთა უფლისათა. ამ სიტყვებიდან კი ის დასკვნა გამოაკეთ: „რომ მეფეს სურს ის, რაც დვთის სურვილს შეადგენსო“. ამგვარათ ეოველი განკარგულება და მოქმედება ჩვენი ჩინოვნიკებისა არის აღსრულება დვთის ნებისაო. მაკრამ არა გვგონია ვინმე დაჯერონ დღეს ასეთი ციტატებით და სიდმრთო წერილზე მითითებით. დღეს თითქმის უსწავლელმაც კი იცის, რომ სოლომონის სიტყვები შეეხებიან დვთის ძალერებას და არა იმას ვითომც ორი მეომარი მეფე დვთის სურვილს ასრულებდეს, როდესაც ათხრებენ ერთმანეთის და ხალხსა ქლეტენ. იმავ წიგნში წერია: «ნებითა დვთისაა მიიქცევიან ფერხნი კაცთისაო» და თუ ამ სიტყვებსაც ისე პირდაპირ გავიგებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით გავმართლოთ ეოველი ქურდი, მტაცებელი და ყაჩაღი, თუ რომ თავის გასამართლებლათ ხსენებულ ტექსტს დაასახელებენ».

—

— გამოირკვა, რომ იანვრის 9 პეტერბურგში მომხდარ სისხლის დვრის დროს დაშავებული მუშები, მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, ხოლიცაში მიყვანა ჩვენების ჩამოსართმევად. გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ დაჭრილთა სანახავად მისულ მშობლებს კაზაკებს უსვედნ და ისე ფანტავდნ. ეს ცნობები გამოაშკარავებულია ზოგიერთი ხმოსნების საშვალებით და ამის გამო ქალაქის საბჭომ განკარგულება მოახდინა, რომ საქალაქო დაწესებულებანი: სავაჭროთო, სკოლა და სხ. დღეის შემდეგ ადრე დაემორჩილოს ხოლიციის უკანონო ბძანებასო. («ხან ოტეჩესტვა»).

—

— „სევ. ზავ. კრ.“ აწერილია ქ. დვინსკში მომხდარი მუშათა გაფიცვა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული“ პარტიისა და «ბუნდის» მიერ გამართული. 17 თებერვალს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა.

შეწყდა მუშაობა ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში. მადზიებიდან გამოვიდნ ნოქრები და სახლებიდნ მოსამსახურენი. ეთოთაქის მოხელენი, მეეურეები, სტამბის და ტელეგრაფის მომუშავენი ყველანი საქმეს ჩამოეხსნენ. რკინის გზის სადგურმა ხაქონლის მიღება შეწყვიტა. ყველა მადზიები, ბანკები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები დაიხურენ. საერთო გაფიცვას შეუერთდნ რვალური სასწავლებლის უფროსი კლასის მოსწავლენი, რომელნიც თავის რეზოლიუციაში მხარს უჭერენ მთელი რუსეთის მოქალაქეებს.

ქალაქის ქუჩებში აბნევდნ მოწოდებებს სათაურებით: „ქუჩაში გამოდიო!“ „ბრძოლისთვის მოემზადენით!“

ქალაქის სხვა და სხვა უბნებში ყოველ დღე იმართებოდა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. ქვეითა და ცხენოსანი ჯარის კაცები მუდამ ჯიმს ქუჩაში იდგენ.

ამბობენ, შეტაკების დროს დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვი 20 ადისო. ბევრი დაჭრილი სახლებში უკით დამალული. 19 და 21 თებერვალს დასაფლავეს დემონსტრაციის დროს მოკლულნი. ათრებული ხალხი დაესწრო მათ გასვენებას. სასაფლაოზე მრავალი გრძნობით სავსე სიტყვა წარმოითქვა და ბოლოს სიმღერის ხმაც გაისმა.

ქალაქი საშინელ დღეში გახვეულია. მშვიდობიანი მოქალაქენი დამშეულნი ისხდენ თავიანთ სახლებში და ქუჩაში გამოსვლას ვერა ბედავდენ.

21 თებერვალს, ნაშუადღევს ქალაქში „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან“ გამოცემული ფურცლები გავრცელდა, რომელშიაც ეწერა: ხუთი დღის საყოველთაო» გაფიცვით ჩვენ დავამტკიცეთ დვინსკელი პროლეტარიატის შეურეველი ძალიერება და ნაშუადღევის ოთხი საათიდან ვსწყვეტთ «ხოლიტიკურ» გაფიცვასაო.

ამ წამშივე ყველა მადზიები და დაწესებულებანი გაიდო და ქალაქი კვლავ გაცოცხლდა.

— მარიინის წყალში, რომელიც მოსკოვში იმყოფება ადმოუჩენიათ რეკოლვერებისა და ასაფეთქებელი მასალის ფრული საწყობი, რის გამოც სამართალში მიუცემიათ ასობით კაცი. («პრავო»)

— ნიჟნი ნოვგოროდში გაკრობა შეჩერებულია. მხედოთ ამ ბოლო კვირაში განადდა ორადით გაკრობა, რის გამოც მადზიის პატრონები დიდ ფულს იკუბენ. მადზიის პატრონი შეადგენდა ასეთმა მოკავშირემ და ხოლიციას გამოუცხადა რომ ერთ კვირაში 364 რეკოლვერი და მისი პატრონა გაყიდეო. ხოლიციამ სცნო, რომ სცნო მადზიის კასაში თავისი აგენტი იყოლიოს, რომელიც ვალდებულია სწორე ცნობები მიაწოდოს მადზიის გაკრობის შესახებ.

უცხოეთის ქრონიკა

ინგლისი. „რუსკია გედომოსტის“ კორესპონდენტი იწერება დო' დონიდან:„ ჩვენდა სამწუხაროთ დღეს ინგლისელთ სწავლა ნიშთათ გავემხდარვართ. რუსეთის ცხოვრებიდან ამოღებული ფაქტების საშვალებით ისინი თვალ საჩინო სიცხადით ამტკიცებენ თუ რა უზრახვამდე მიიყვანს სახოგადოების ყადბი შეხედულობის თან და თანი განვითარება. მესამოცდაათიწლეში ზოგიერთმა გარემოებამ აიძულა კონსერვატიული პრესა კითხვა აქცია ხოლიციის უფლების გასაფართოებლათ. იმითი ახრით ხოლიცია ცენტრალურ მთავრობას უნდა დაქვემდებარებოდა. გაცხარებულ მსჯელობის დროს ხსენებული კითხვის შესახებ გამოვიდა ცნობილი ბამფლეტი ყოზეფინა ბუტლერისა, ამ სათაურით Government by Police (მართველობა ხოლიციის საშვალებით)

„სამხედრო წესზე გადაქცილი ხოლიცია, წერდა ყოზეფინა ბუტლერი, რომელიც ცენტრალურ მმართველობას ემორჩილება, ორგვარ ბოროტებას წარმოშობს. ჯერ ერთი: ამ სახით, ადმასრულებელ მთავრობას, რომელსაც ექვემდებარება მხედრობა, ეძლევა მეორე უფრო საშიში ძალა, რომელიც სახოგადო მეუდრობის დაცვის მაგიერათ თითონ არდგება მას ხელოვნურათ შექმილი უწესობებითა და ჯანყეებით. ასეთი ხოლიცია ძალიერ საშიშია მოქალაქეთა კეთილ-დეობასათვის. თუ რომ ასეთ ხოლიციას შემოიღებენ ინგლისში, მაშინ მეხოვრებთა თავზე ამორთება დამოკლის ხმალი, რადგან ის უეჭველათ გაიჩენს მრავალ ჯაშუშებსა და წამქეზებლებს. ასეთი ხოლიცია უფრო ადვილათ შეძლებს სახელმწიფოს დამხობას ვიდრე 20 ხოლკი. სახელმწიფო ხოლიციის შემოღებით დაეცემა ხალხში შეფოთსა და უმსუფთოებას. ინგლისის მოქალაქენო,—განაგრძობს ბუტლერი,—გაიხსენეთ საფრანგეთის ისტორია! ადამარ დიუმერის სიტყვით 1851 წელს სახელმწიფო წეს-წეობილების დანგრევის დროს 80 ხოლიციელმა მეტი ქნა, ვიდრე მთელმა არმიამ ერთათ. თავისუფალ ქვეყანაში, სადაც სახოგადოება ერიდება შეფოთსა და მღელვარებას, ხოლიცია ამორჩეულ დაწესებულებათა კანტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. ისტორია ნათლათ გვამტკიცებს, რომ რამდენათაც მეტი გავლენა აქვს ხოლიციაზე ცენტრალურ მართველობას, მით უფრო ხოლიტიკური ხასიათი ეძლევა იმის დანიშნულებასაც. უბერველესი მისი მოვალეობა ე. ი. მოქალაქეთა უზრუნველ-ყოფა ძალ-მომრეობისაგან, სრულიად დავიწუებული იყო“.

სახოგადოების კანტროლისაგან განთავისუფლებული ხოლიცია საშიშარ მტრათ უხდება ხრა თუ ხალხს, ხრამედ თვით იმ მთავრობასაც, რომელიც თავისი გაუფრთხილებლობით დაენდო მას.

ეი დღეს, როდესაც გაზეთის ფურცლებს მოაქვს ცნობა რუსეთის ხოლიციის თვითნებობისა, სახოგადოება იგონებს მე-70 წლებში დაწერილ ბუტლერის ადფრთოვანებულ სიტყვებს, იგონებს მადდობით.

«ეი რას ნიშნავს ხოლიცია, რომელიც არ ექვემდებარება სახოგადოების კანტროლსო».—ამობუნ ინგლისელები. ინგლისის ხალხი იმით განირჩევა სხვა ხალხისაგან, რომ აქ სახოგადოება საკმარათ ხრა თვალის გერძო ხორციელება გაითვალოს, დამცირდეს და სახელმწიფოს შეეწიროს. ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ თითოეული ხორციელება საკმარათ არ თვლიდეს სახოგადოების საერთო ინტერესს, ხორიქოთ: არც ერთ ქვეყანაში სახოგადოებასა და კანონს შორის არ არის ისეთი თანხმობა, როგორიც ინგლისშია. ეს იმიტომ არის, რომ ცალკე ხორციელება ხატივსა ცემს იმ კანონს, რომელიც მან შეამუშავა და მეორეთ სახოგადოება კიდევ ხრა სცდილობს ხორციელების დაჩაგრას.

თითონ ინგლისში ხოლიცია სახოგადოების კანტროლს ემორჩილება და ამიტომ იქაური ხოლიციელი იმისი მშვიდობიანი მოსამსახურეა.

*
* *

სალი კლდე გასკდა, ნაკადი
გადმოჩუხჩუხდა ანკარა
და ბუჩქ-ბალახებს, ყვავილებს

თვის მოვლინება ახარა.
„აყვავდით,—ჩაურაკრაკა,—
გადაიფურჩქნეთ ველათო,
ნუ შეუდრკებით გვალვასა,
მოვლენილს ოქვენდა მწველათო;
თან მომაქვს ძალა სიცოცხლის,
ეს შვების ნაკადულიო,
უხვათ მოგირწყავთ ფესვებსა,
რომ გაგიმთელდეთ წყლულიო!
და თან ჩუხჩუხით გასწია,
ტყე-მინდორ-ველი დაღარა,
შხეფებით მორწყო მიდამო,
გამოაცოცხლა, ახარა.

—

შენ სად ხარ, თავისუფლებავ,
ნაკადო ნეტარებისა?
გადმოჩუხჩუხდი, გვაპკურე
ჩაგრულთ შხეფები შვებისა!
ჩვენცა გვწვავს გვალვა მონობის,
ტანჯვას არა აქვს საზღვარი,
მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს, ყოველ წამს,
გაისმის კვნესა საზარი!

ვ. რუხაძე.

გურიის ამბები.

—

ნიგოითი. 7 მარტი. საზოგადო აზრია, რომ გურიის დღევანდელი მოძრაობა აგრარიულ ნიადაგზე აღმოცენდა, რომ დღევანდელი პოლიტიკური სახე მან მხოლოთ მაშინ მიიღო, როცა მემამულეებთან ბრძოლის დროს ადმინისტრაციამ (მთავრობამ) ხალხს ზურგი შეაქცია და აშკარათ მიემხრო მემამულეებს. ეს ძირითადი კითხვა ანუ აგრარიული კითხვა, ისე არსად არ გამწვავებულა, როგორც ნიგოითში. მიზეზი ამისა უპირველესათ ის გახლავს, რომ თითქმის მთელი სავარგისი მამული ამ საზოგადოებისა ოთხსა თუ ხუთ მოსახლე მაჭუტაძეებს ეკუთვნის, ხოლო გლეხ-კაცობა უკიდურეს სიღარიბეშია ჩავარდნილი მიწის სიმწირისა და სხვა მისგან დამოკიდებული მიზეზებისა გამო. თავისთავათ ცხადია, რომ უზომო გასაჭირი ხალხს მოთმინებიდან გამოიყვანდა და თავისს გასაჭირზე ხმას ამოაღებინებდა, მაგრამ ამასთან ისიც ცხადია, რომ შეგნებულ ხალხს თავის სამართლიანი მოთხოვნილებისათვის ადმინისტრაციის თვითნებობა გაეაელდობებოდა წინ და გასთელავდა. ქვევით მოთხრობილი ამბებიდან ცხადათ დაინახავთ თუ რა შავი დღე გამოუვლია ნიგოითელ გლეხს ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლაში, რამდენი ტანჯვა წვალება და უსამართლობა აუტანია, რამდენი დაცინვა და გამათრახება მოუთმენია. დღეს-კი, სახე-ნათელი და სულით ამაღლებული ეგებება ის ახალ ცხოვრებას, რომლის შექმნაში მასაც მიუძღვის მცირეოდენი ღვაწლი და სამსახური.

სულ ნიგოითის საზოგადოებაში 450 კომლი მცხოვრებია. შვიდ მარტს ღრუბლიანი და ჭარიანი დღე იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა აურაცხელი ქალი და კაცი მოაწყდა კრებისათვის დანიშნულ ალაგს. დიდი მწვანე ეზო ხალხით გაიჭედა. როგორც ყველგან სხვაგან, ისე აქაც კრიმ-გირეიმ ნება მიცა ხალხს ჯერ თავისთვის მოელაპარაკნა და თავისი მოთხოვნილებები გაერკვია. დაიწყეს თუ არა ლაპარაკი საერთო გასაჭირზე, გამოჩნდა კრებისაკენ მომავალი აფიცერი და ჟანდარმი. ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა. დაუპატიჟებელი სტუმრები მიხვდენ, რომ აქ მათ ადგილი არ ქონდათ და სადგურის უფროსთან ერთათ კრებას მოშორდენ.

ნაშვადღევის პირველი საათი იქნებოდა, რომ კრიმ-გირეი მოვიდა თავისი მხლებლებით. თარჯიმანმა მოსვლისათანავე დაიწყო „მანიფესტის“ კითხვა, რომლის არა ქართული კილო გურულების სალაპარაკო საგანს შეადგენს. ხალხი უმეტესს ნაწილათ კითხვის სასაცილო კილოს აქცევდა ყურადღებას, ვიდრე მანიფესტის შინაარს. ყრილობამ არ ისურვა ერთათ ლაპარაკი, ამოირჩია 17 დეპუტატი, (ამათგან 4 ქალი) და შეუდგენ ლაპარაკს.

ხალხ. წარმომადგენელი. მე ეხლა 70 წლის კაცი გახლავარ, დაიწყო ერთმა თეთრ-წვერა დეპუტატმა დინჯათ და დაბალი ხმით. მშვენივრათ მახსოვს, თუ როგორ წაართვა ჩემი თავი მამა ჩემს ჩვენმა უღმერთო ბატონმა. მაშინ მე რვა წლის ბავშვი ვიქნებოდი. მომიტაცეს საკუთარი ოჯახიდან და წამიყვანეს ბატონის სახლში მოსამსახურეთ. ჩემი სამსახური ჩემს მამას სულაც არ ანთავისუფლებდა მძიმე გადასახადებისაგან, რომელიც თითოეული გლეხის მოვალეობას შეადგენდა. მაშინ ორი გვარის გლეხები იყვნენ: მსახურიშვილები და ისე გლეხები. როგორც ყველა მსახურიშვილს, ისე მამაჩემსაც ახდევინებდენ: ერთ ძროხას; 12 ქათამს, ოთხ ფუთ ღომს; ოთხ საწყავ (8 ფუთ) ღვინოს, ერთ ქორის ქათამს; ერთ მინინოის ქათამს; გარდა ამისა „სალიანის“ გადასახადს 20 კაპ. და სხ. უბრალო გლეხებს შინ, საკუთარ სახლში მუშაობის ნებას აძლევდენ, მარა თითო მუშა ხელს უნდა წარედგინა ბატონისათვის 10 ფუთი ღომი; ერთი ღორი დაახლოებით ათ მანეთათ ღირებული და სხვა ის გადასახადები რასაც მსახურიშვილებს. ახდევინებდენ აგრეთვე თითო ფუთ ღომს. რომელსაც „ცეხის“ ღომი ერქვა. თითოეულ მოსახლეს ყოველივე გადასახადს გარეშე უნდა ეჩუქნა თავისს სახლში ორი თვის ვადით ბატონის 2 ცხენი და ერთი მეჯინიბე.

გარდა ამისა სამართალი ბატონის ხელში იყო და როგორც მოეხალისებოდა ისე ხმარობდა. ცხადია ის მოსამართლე, რომელიც თავისი მოქმედების ანგარიშს არავის არ აძლევდა, თავისსავე სასარგებლოთ მოიხმარდა მას. უბრალო დანაშაულობისათვის ჩაგდგმევინებდენ ფეხს განგებ ამისათვის ამოჭრილ ჯიკვში, მერმე ზევიდან ფიცარს დააჭედდენ და ვიყავით ასე დაბმული. სასჯელის ვადა რასაკვირველია ბატონის ნებაზე იყო. ამ ხანებში მოაწია ხმამ: „ბატონ-ყმობა ისპობაო“ და შეგვექნა სიხარული. განა არ გვქონია სასიხარულო რამ? ჩვენ გვანთავისუფლებდენ იმ ჯოჯოხეთიდან, რომელსაც „ყმობა“ ჰქვიოდა და რატომ არ უნდა გაგვხარებოდა. გვანთავისუფლდით... ბატონ-ყმობა მოისპო. მაგრამ ვაი ასეთ განთავისუფლებას. ბატონებმა შეგვიდგინეს „უსტავნი გრამოტა“ და რაც კარგი, სავარგისი ადგილები იყო, ყველა თავისთვის გადადვეს. უვარგისი და უნაყოფო გლეხებს მოუჭრეს იმ პირობით, რომ შემდევში გამოეყიდათ ბატონისაგან და მესაკუთრენი გამხდარიყვნენ.

ხალხმა მოინდომა დაკარგული მამულის უკანვე დაბრუნება და შეფიცეს ერთმანეთს. ნაბატონარებმა მაშინვე პოლიციას მიმართეს და როგორც დღეს, მაშინაც ბევრი ხალხი დაიჩაგრა. მამა ჩემი დაიჭირეს და სადღაც გადაკარგეს. მას შემდეგ იმისი კვალი დაიკარგა და დღესაც არ ვიცით სად განუტევა საბრალომ მრავალ-ტანჯული სული. რაკი მიზანს ვერ მივახწიეთ და ჩვენი ძველი საკუთრება ვერ დავიბრუნეთ, იძულებული გავხდით სხვის, ე. ი. მებატონის მამულში გვემუშავა და სიტყვიერათ თავისუფალნი, საქმით ისევ მებატონის ხელში დავრჩით. ვმუშაობდით სამესამედოთ, მარა ამ

ორი მესამედიდან ჩვენ ბევრი არაფერი გვრჩებოდა, რადგანაც სანადელო მიწის ქცევიდან უნდა გვეძლია 12 ფუთზე მეტი სიმინდი და ჩვენი ნადელი ქცევაზე ამდენ მოსავალს არც კი მოგვცემდა, ერთობ გაჭირვებულ დღეში ჩავვარდით და იძულებული შევიქენით როგორმე ნადელები გამოგვეყიდა და მესაკუთრენი გავმხდარიყავით. ამით გვინდოდა სანადელო გადასახადს ავსცდენოდით და სხვა ნამუშიერი მაინც შეგვრჩენოდა. მარა რით უნდა გამოგვეყიდა ნადელი? გავყიდეთ ყველაფერი რაც გვებადა და ზოგიერთმა ჩვენგანმა გამოვიყიდეთ ნადელები; გავხდით იმის მესაკუთრე, რაც ჩვენ გვეკუთვნოდა, რაც ჩვენს მამა-პაპას თავისი ოფლით დაუსველებია. განა ეს უსამართლობა არ არის, რომ ჩვენი საკუთარი მიწა ფულით გვაყიდვინეს? ასე გაგვანთავისუფლეს ჩვენ და რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ჩვენი სიხარული ისევ მწუხარებათ შეიცვლებოდა. მივხვდით დღეს ამ უსამართლობას და მოვითხოვთ, რომ ასე ძალადობით წართმეული ფული უკანვე დაუბრუნდეს ხალხს; დაუბრუნდეს ყველას ის ფული, რომლითაც მან თავისი საკუთრება გამოიყიდა. მაშინდელი ნასესხები ფულები დღესაც გადაუხდელი გვაქვს. უთუოთ უნდა დაუბრუნდეს გლეხ-კაცებს უსამართლოთ გადახდილი ფულები.

ახლა აი რას მოგახსენებთ: ყველა გლეხს არ ჰქონია იმის შეძლება თავი გამოეყიდა და ბევრი დღესაც დროებით ვალდებულია. დღესაც იხდის სანადელოს, თუმცა უზომო ნადელით ათასჯერ გამოყიდული ექნება ის ერთი ნაწეკვი ღვარგისი მიწა, რომელიც მას განთავისუფლების დროს სამოწყალოთ მიუზომეს. უსამართლობა რაც ვითმინეთ ისიც გვეყოფა, ახლა მოვითხოვთ, რომ დროებით ვალდებულნი განთავისუფლონ თავისი ნადელებით უსასყიდლოთ. რათ უნდა გამოიყიდოს მუშამ, მიწის მუშამ ის მიწა, რომელიც მას ეკუთნის, რომელზედაც იმისი წინაპრები მუშაობდენ. რატომ არ უნდა ქონოდა გლეხს თავისი მიწა? იმის მეტი ხომ არავინ ამუშავებდა მამულებს? მაშ მოისპოს ეს უკანასკნელი ნაშთი ბატონ-ყმობისა; დროებით ვალდებულნი განთავისუფლდენ ბატონის ვალდებულობისაგან, მას არაფერი არა აქვს გამოსაყიდი.

ამასვე ვიტყვით სახელმწიფო გლეხებზე. აქვთ საწყლებს რაღაც ნაგლეჯი უვაუგისი მიწები, მარა რა ქონებაა ეს, თუ თავის დროზე ვერ მოიხმარს? მას არ შეუძლია იმის არც გაყიდვა, არც დაგირავება და არც არაფერი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სახელმწიფო გლეხებს თავისი ნადელები კერძო საკუთრებათ გადაეცეს. რომ ნება მიეცეს უნდა გაყიდოს, უნდა გააჩუქოს, უნდა დაიგირაოს თავისი სურვილისამებრ. მიწა იმას უნდა ეკუთნოდეს ვინც მას ამუშავებს, ჩვენში კი ისინი დაპატრონებიან, ვისაც ხელი არ გაუნძრევია.

მეორე წარმომადგენელი. ჩემმა ამხანაგმა ის ისტორია გადმოგცათ, რაც ძველათ გამოუცდია გლეხ-კაცობას; ახლანდელ გასაჭირზე მას, არაფერი უთქვამს. მიწის სივიწროემ და სიმწირემ ჩვენ გვაიძულა მემამულეებისათვის ვიგვემართა და იმათი მიწით გვესარგებლა. მაშ სად წავსულიყავით? სიტყვით ვიყავით თავისუფალი თვარა, საქმით ისევ ძველს ბატონებს ვემსახურებოდით. მემამულეები მიხვდენ, რომ ჩვენ იმათ გარეშე საშველი არ გვქონდა, რომ ძალა-უნებურათ მის მიწებზე უნდა გვემუშავნა.

1901 წელს შეიკრიბენ და გადაწყვიტეს: გლეხებს მაშულს იაფათ ვაძლევთ, ჩვენ ეს ხელს არ მოგვცემს და უნდა გადასახადი მოვუმატოთო.

დაადგინეს რიგიან მიწაზე გადასახადი მოსავლის ნახევარი, ხოლო უვარგისზე მესამედი. გარდა პირდაპირ მოსავლის ნახევარისა ვაძლევდით ათ შაურს ან მანათს. „სალეგრობოს“ ქცევაზე; ვიღებდით თხრილებს ადგილის გასაშრობათ, გაგვყავდა ღობეები, ვუშენებდით სასიმინდეს, ვუმასპინძლდებოდით ხშირ-ხშირათ. გარდა ამისა ჰირნახული ჯერ რასაკვირველია მისთვის უნდა მიგვეტრთმია და ჩვენი საკუთარი ღვთის ანაბარა დაგვეყარა. ხშირია ისეთი მაგალითი, როცა რომ ბატონის სიმინდის ზიდვის დროს ჩვენი წილი საქონელს გაეოხრებიოს ან წყალს წაელეკოს. ერთი სიტყვით ვინ მოთვლას რამდენი სხვა, ვალდებულობა გვქონდა ჩვენს მემამულესთან და მხოლოთ ცოლ შვილის საშოვლე და სიმშილი გვაიძულებდა ასეთ უსამართლო პირობებში მუშაობისთვის ხელი მიგვეყო. პირველ წელიწადს ჩვენ დავყევით მემამულეების გადაწყვეტილებას და ყანები ვიმუშავეთ. მაგრამ გარემოება მაინც თავისას შვრებოდა და ჩვენ რასაკვირველია მუდამ ასეთ უღმერთო პირობებში ვეღარ განვაგრძობდით მემამულეების მიწებზე მუშაობას. ჩვენც ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდით, რომ უთუოთ ხელი უნდა აგვეღო სხვის მამულში მუშაობაზე და ასეც მოვიქეცით. გლეხებმაც შევთქვით პირი, რომ თუ მემამულეები უკეთეს პირობებს არ შემოიღებენ იმათ მამულში აღარ ვიმუშავებთო.

მესამე წარმომადგენელი. ჩვენ გვეგონა მთავრობა იმიზა გვყავდა, რომ უსამართლოთ დასჯილს და საწყალს მიეხმაროსო; გვეგონა მემამულეების თვითნებობისგან ის დაგვიფარავსო, მარა ვაი ამისთანა იმედს! ჩვენი მოლოდინი სასტიკათ გაცრუვდა, ჩვენ ცხადათ, თვალსაჩინოთ დავინახეთ, რომ მთავრობა, პოლიცია ნაბატონარებს ემხრობა. მემამულეებმა გაიგეს თუ არა გლეხები ჩვენს წინააღმდეგ გაფიცულან და ჩვენს მიწებზე აღარ მუშაობენო, გადაწყვიტეს ჩვენი ყოველი მხრით შევიწროება. საბალახოში უწინ არაფერს ვიხდიდით, ასეთი ჩვეულება გვქონდა. გავუშვით თუ არა საქონელი, ნაბატონარის მოურავებმა დაიჭირეს და დაამწყვდიეს. ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ რაკი ჩვენს მამულში აღარ მუშაობთ, ბარემ ნუღარც ჩვენი საბალახოებით სარგებლობთო. ამ ამბავმა ხალხი ძლიერ აღელვა. მთელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და მოითხოვა დატყვევებული საქონლის გამოშვება. საქონელი გამოუშვეს, მარა ჯაშუშების წყალობით ამოარჩიეს საზოგადოებაში რამოდენიმე კაცი და დაიჭირეს, ვითომდა ესენი არიან გლეხების მეთაური, რომლებსაც უნდათ ნაბატონარებს მამული ჩამოართვან და თითონ დაირიგონო. ეს საზიზღარი საქციელი ჩვენ ვეღარ მოვითმინეთ: ავდექით მთელი ნიგოითის საზოგადოება და ღანჩხუთს ჩავედით, რომ პოლიციისაგან მოგვეთხოვა დატყვევებული ამხანაგების გამოშვება. დილიდან სალამომდე იქ ვიტრიალეთ; ბოლოს პოლიციამ გაანთავისუფლა დაჭერილი ამხანაგები და ჩვენც შინ დავბრუნდით. ეს ამბავი 1902 წლის ივნისში მოხდა. ცხრაას პირველში ხომ მემამულეები გაიფიცენ, ცხრაას ორში ჩვენ შევთქვით პირი და გასაკვირალია: თუ იმათი გაფიცვა არ იყო დანაშაულობა, ჩვენ გაფიცვას რაიზა ჰაარქვეს ასე კბილები? მემამულეებს გასაჭირი კი არ ალაპარაკებდა, იგენს საქეიფო ფულები აკლდა; ჩვენ კი უზომო გასაჭირმა და ცოლ-შვილის, ოჯახის აუტანელმა მდგომარეობამ აგვაღებია მუშაობაზე ხელი. მთავრობამ კი ჩვენი საქციელი დანაშაულობათ ჩათვალა, თავადების მოიწონა და მხარი მიცა.

ეს დრო ჩვენთვის ძლიერ მძიმე დრო იყო. სამი წლის მოუსავლობისაგან ხალხს სული ხდებოდა კისერში და რამე ნაირათ თავი უნდა გადაერჩინა. მიმართეს მღვდლებს თხოვნით: შეხედეთ ჩვენს გაჭირვებას და წელს დრამა ფული გვაპატიეთ. ზოგმა შეისმინა ჩვენი თხოვნა და ნებას დაგვყვა, ზოგმა მთავრობისაკენ მოკურცხლა და მოახსენა: გვიშველეთ „ბუნტია“ გლეხები დრამას სპობენო. ამაზე ინება „ჩამობრ-

ძანება“ მაშინდელმა მაზრის ნაჩალნიკმა წერეთელმა. შეყარა საზოგადოება და გამოუცხადა: «ხალხო, მე შევიტყვე ნიგოითის საზოგადოება გადარეულა და მითხარით მართალია თუ არაო“. ჩვენ ვუპასუხეთ ყველაფერს მოგახსენებთ-თქო. მართლაც მოვილაპარაკეთ, ავირჩიეთ დეპუტატები და მივანდვეთ ყველაფერი მოეხსენებია წერეთლისათვის. დეპუტატებმაც ყველაფერი დაწვრილებით გადასცეს ჩვენი გასაჭირის, მღვდლების და მემამულეების შესახებ. წერეთელმა აწერა თურმე იმათი სახელი და გვარი ვინც ელაპარაკებოდა. ბოლოს შეგვეკითხა: თქვენი უკანასკნელი სიტყვა რა არისო და ჩვენც გადაჭრით ვუპასუხეთ, რომ წყლს არც დრამის გადახდა და არც მემამულეების მიწებზე მუშაობა არ შეგვიძლიათ-ქვა. ამ სიტყვებმა სწორეთ გააცოფა წერეთელი, აღარ იცოდა რა ექნა. ჩვენ სამართლიან საქმეს ვედექით გვეგონა და იმან ,,ბუნტოვჩიკები“ და ვინ იცის რა არ გვიწოდა. ისეთი საზიზღარი სიტყვებით ილანძღებოდა, რომ იმას განათლებული *) კაცი კი არა უბრალო ბიჭი არ იკადრებს. ,,აი თქვენ მხეცებო, ვირებო, დათვებო და ვინ იცის კიდევ რა საზიზღრობა არ ამოუვიდა პირიდან. ჩვენ კი ჩვენ თავს კაცებათ ვსთვლიდით და დღესაც კაცები გვგონია. ბოლოს დაგვემუქრა: „თუ ჩემი ბრძანება არ აგისრულებიათ, კეტერა ფხალივით დაგწურავთო. თქვენ გინდათ აქ საფრანგეთის რესპუბლიკა დაიარსოთო და კიდო რა. ჩვენ არც კი ვიცოდით მაშინ რესპუბლიკა სასმელი იყო თუ საჭმელი, მარა ერთი ცხადათ ჩანდა, რომ რესპუბლიკა თუ იქნებოდა ჩვენში, მაშინ შეიძლებოდა ამ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება. ამ სიტყვამ დაგვაფიქრა, რადგანაც ჩვენ ყველგან ჩვენსავით გაჭირვებული ხალხი ცხოვრობდა გვეგონა. დასასრულ წერეთელი მოგვიბრუნდა და გვითხრა: ეს ქვეყანა ცხელია და თქვენც თავში სიცხე გაქვთ, ამიტომ ცივი ქვეყნებისაკენ მიბრძანება მოგიხდებათო. ერთი სიტყვით რაც წერეთელმა ილანძღა ამის თქმა დიდ დროსაც წაგვართმევს და სირცხვილიც არის ხალხში იმის ლაპარაკი.

გავიდა ამის შემდეგ ხუთმეტი დღე და ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი, თან ჩამოიყვანა სალდათები და კაზაკები. მოუყარა საზოგადოებას თავი და შეჰკითხა: ,,პასუხი მომეცით იმისი, რასაც მაზრის უფროსი გეტყვით“. რადგანაც მთელ საზოგადოებას ერთათ ლაპარაკი არ შეეძლო ავირჩიეთ ხუთი დეპუტატი და დავავალეთ ჩვენი გასაჭირის მოხსენება. ამორჩეულმა პირებმა სინდისიანათ შეასრულეს მონდობილობა და ჩვენი გასაჭირი ყველაფერი დაუკაკლეს გუბერნატორს. გუბერნატორმა დაუძახა ახლოს ჩვენ დეპუტატებს და გამოუცხადა: «როგორც თქვენი ლაპარაკიდანა ჩანს ეს საზოგადოება თქვენ აგირევიათ და თქვენვე უნდა დაამშვიდოთ, თორემ ცივი ქვეყანა ხომ გაგიგონიათ». დაავალა საზოგადოების დამშვიდება ხალხისაგან ამორჩეულ დეპუტატებს, როგორც ამ საქმეში დანაშაულ პირებს და თითონ ქე წავიდა შინ. რა უნდა ექნა, რა უნდა დაემშვიდებია საწყალ დეპუტატებს? ასეთი იყო ჩვენი მთავრობის სამართალი!

გავიდა ამის შემდეგ ათიოდე დღე და გუბერნატორი კიდევ გვესტუმრა. ჯაშუშებისა და პოლიციისაგან შედგენილი სიით დაატუსაღა ოცდა ორი კაცი, მათ შორის ხუთი უკანასკნელი დეპუტატი, რომლებმაც ვერ შეძლეს გუბერნატორის დავალების სისრულეში მოყვანა; გაამათრახა ყველანი და ქუთაისისაკენ გაისტუმრა.

მეოთხე წარ. რადგანაც მე თითონ გეახელით იმ ტყვეებში, რომლებზედაც აქ არის ლაპარაკი და ცხადათ მახსოვს ყველაფერი, ამიტომ ის შესახებ მე მოგახსენებ. როგორ არ დამანახსოვრდებოდა, როცა რომ თითო სიტყვას მათრახებით გვაბეჭდავდენ ზურგზე. როდესაც სალდათებს ან სტრაჟნიკებს კი მოეხალისებოდათ თავისი საყვარელი საქმე, უიარაღო, დატყვევებული კაცის ცემა, ყოველთვინ ჯეროვანათ ისრულებდენ სურვილს. ჩაგვიყვანეს მაგალითათ ქუთაისში, შემოგვახვიეს ჯერ სალდათები, მერმე კაზაკები და სტრაჟები და გაგვიყენეს ცახისკენ. ჩვენ იძულებული ვიყავით შუაგულ ქუჩაზე გვევლო და კიდევაც მივდიოდით. უცებ მივადექით ერთ დიდ წუმპეს. თუ პირდაპირ წავედით, წელამდე ტალახში უნდა ჩავიჭრეთ და გავცივდეთ. გადავადგით თუ არა ერთი ბიჯი, მაშინვე მათრახები და თოფის კონდახები დაგვიშინეს აქეთ-იქიდან. ოთხი თვე ვიჯექით ციხეში და კაცი ჩვენსას არაფერს კითხულობდა.

მეხუთე წარ. განა პროკურორი, ან პროკურორის თანაშემწე არ შემოდიოდენ ციხეში?

ხალხ. წარ. როგორ არა, შემოდიოდენ და გადიოდენ, ჩვენსას კი არაფერს კითხულობდენ, არც საჭმელი, არც სასმელი, არც საცვლები ჩვენთვის არ მოიპოვებოდა. არც ჩვენს მოკეთეებს შემოატანიეს, არც თითონ მოგვცეს რაც კანონის ძალით გვერგებოდა. ერთი ჩვენგანი გადაასახლეს; ერთი კი ცოცხალ-მკვდარი გამოუშვეს და შინ ჩამოვიდა თუ არა განუტევა უსამართლოთ დატანჯული სული.

მეხუთე წარ. აბა, გვითხარით გადასახლებულთა სახელი, გვარი და წლოვანება, ამასთანავე სოფლის სახელიც.

ხალხ. წარ. გადასახლებულნი არიან ანტონ ფირცხალაიშვილი, დაახლოებით 40 წლისა, მათე გორგილაძე 40 წლისა; გიორგი ფილია 35 წლისა და სოლომონ ჟოჟიკაიშვილი 25 წლისა. რადგანაც ყველა ეს პირები უსამართლოთ დასჯილნი არიან, ამისათვის მოვითხოვთ მათ განთავისუფლებას.

ახლა ისევ უწინდელ ამბავს დავუბრუნდეთ. იმ კაცების დაჭირვიდან გავიდა რამოდენიმე დღე და ეკზეკუცია ჩამოგვიყენეს. ჩვენ უნდა გვეძლია ჯარისათვის ბინა, შეშა, ნავთი, ფურნე, აფიცრების ცხენებისათვის ბალახის ფასი და სხვა რამ მრავალი. ჯარი დაახლოებით სამ თვე ნახევარს იდგა და ადვილი გასაგებია, რამდენ გასაჭირს გამოვცდიდით ამ ხნის განმავლობაში. მერმე რისთვის ამდენი სისასტიკე? რით დავიმსახურეთ ყოველივე ეს? იმით რომ ათასგვარი გადასახადებისაგან გაღარიბებულმა ხალხმა ვეღარ შეძლო მეტის გადახდა. იმით რომ მემამულეთაგან უზომოთ შევიწროებულმა ხალხმა უარი სთქვა იმათ მამულში მუშაობაზე. აი ჩვენი დანაშაული!

გავიდა კიდევ ოცდაოდე დღე და ახალი ბედნიერება გვეწია. გუბერნატორი ისევ ჩამობძანდა და პასუხი მოგვთხოვა: „დააკმაყოფილეთ ჩემი ბძანება თუ არაო“ *). ჩვენ მღვდლებთან მოლაპარაკებული ვიყავით, რომ ფული (დრამა) მიღებულათ გამოეცხადებიათ. გუბერნატორმა დაიბარა მღვდლები და ჩვენთან რომ მოვიდნენ გვითხრეს: ,,დრამა ფულის პატიების ნება ჩვენ არა გვაქვსო“. აკრეთვე ერთ მუმამულეს უნდოდა ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ არც იმას მისცა გუბერნატორმა ნება. ეს ჩვენი ყურით გავიგონეთ. ,,თუ მაჭუტაძეს არ უნდა გლეხებისაგან ფულის აღება, ჩვენ ავღებთ ხაზინისათვისო“. ასევე უთხრეს თურმე მღვდლებსაც. ბოლოს გამოგვიცხადა: მე ვიცი, რომ თქვენში მაინც პირები

*) გურულების ლაპარაკი სხვა დროსაც ირონიით იყო სავსე და ახლა ხომ ძთელი ლაპარაკი ირონია, ჭესლიანი დაცინვაა. სიტყვა განათლებული, მობრძანება, ბატონი და სხვა ისეთი კილოთი ითქმებოდა ხოლმე, რომ ნათლათ ჩანდა მოლაპარაკის გულის თქმა.

*) ერთმა გურულმა მითხრა: გამოცდილებით ვიცი, რომ მთავრობის ცუდი დაპირება, ანუ მუქარა თითქმის ყოველთვინ სისრულეში მოჰყავთ, ხოლო კარგი დაპირება არასოდეს არ გამართლებულაო.

ბუდობენ, მოგვეცით ისინი და თქვენ თავისუფალი იქნებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ ისეთ სალდათებს გამოვგზავნით, რომლებიც აღარაფერს არ დაზოგავენ. აგიოხრებენ ოჯახს, არ დაზოგვენ თქვენ ცოლ-შვილს, სახლ-კარს და პატიოსნებასო. უმჯობესია მოგვეცი ხუთი კაცი, რომლებსაც მავნე კაცების დასახელება შეეძლოთო". მოგვცა მოსაფიქრებლათ და კაცების ამოსარჩევათ სულ ხუთი წუთი დრო. „ამ ვადაში ან ოჯახის დაღუპვა არჩიეთ ან „მავნე" კაცების დასახელებაო". ჯერ თავისთავათ ხუთი წუთი რაა და მერმე აღარც ის დაგვაცალა. ამოიკითხეს სიაში ხუთი კაცი და დაპატიმრეს. ამ დროს ერთ ვიღაცას წამოცდა: „ეს უსამართლობა არისო" და ისიც იმ ხუთ კაცს მიაყოლეს. ექვსივე კი ქუთაისის ციხეში ჩაამწყვდიეს.

ამის შემდეგ გაესიენ სოფელს და თუ კი რამ გვებადა წაგვართვეს დრამა ფულის ანგარიშში. პრისტავი ქელბაქიანი, ორმოციოდე სალდათი, თორმეტი სტრაჟნიკი და მამასახლისი ერთათ დადიოდენ სოფლის ასაოხრებლათ. მასპინძელს აღარაფერს არ კითხავდენ თითონ შეცვივდენ სახლებში, აღებდენ შკაფებს და ზანდუკებს და თუ რამე სავარგისი გამოჩნდებოდა, ყველაფერი მიქონდათ. ამავე წელს დაგვინიშნეს მთავრობის მამასახლისი. „ეს სანდრო, პატიოსანი კაციაო", გვიცხადებდენ ყრილობაზე. ახლა მოისპობა ქრთამები და ის უსამართლობანი, რომლებსაც თქვენ მიერ ამორჩეული მამასახლისები შეებიანო. დაუნიშნეს ჩვენდა დაუკითხავათ 400 მანეთი ჯამაგირი, რაც წინდაწინ მოხიკეს სოფელში. ჩვენც ვიფიქრეთ: თუ პატიოსნებას დაიცავს ჯამაგირს ვინ ჩივაო, მაგრამ ვაი ამისთანა პატიოსნებას! სულ ყველამ კბილი გაკრა საზოგადოების ფულებს და უსინდისობაც მრავალი ჩაიდინეს. მოვიდოდა ერთი, შეჭამდა საზოგადოების ფულს და გაიბარგებოდა. მოვიდოდა მეორე, ისიც ისე. მესამე მამასახლისი კეკელია ჩვენ არც კი შეგვიტყვია როდის მოვიდა და როდის წავიდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის თითონ პოლიციამ გაალახვინა და გააგდო. რითაც ჩვენი სახელის გატეხა უნდოდათ. შეყარა პრისტავმა ქავთარაძემ ყრილობა და შესანიშნავი სიტყვებით მიმართა ხალხს: „არა გამარჯვება თქვენიო! მე დიდათ მოხარული ვიქნები იმ დროის, როდესაც ბძანებას მივიღებ, თქვენი სისხლით შევღებო აქაურობაო".

მთავრ. წარ. სად არის ეხლა ის ქავთარაძე?

ხაჯხ. წარ. ეხლა აქ აღარ არის, სადღაც გაიპარა. უთუოთ გულ-ნატკენი იქნება, რომ ნატვრა აღარ აუსრულდა და ჩვენი სისხლით ვერ შეღება აქაურობა.

1903 წელს ჩვენ აღარ ჩავსულვართ სხვის მამულში. მოვხანით ცოტ-ცოტა საკუთარი რაც გაგვაჩნდა და ჩავთესეთ სიმინდი. რაც ჩვენ დამშეულ ოჯახს ნახევრათ გააძღებდა იმდენი ქე გვქონდა ნამუშევარი და სხვის მამულში მუშაობას აღარ ვფიქრობდით. მაგრამ დახეთ ბედს: ერთათ მოგვადგა ივანობის თვეც და ივანე ჯაფარიძეც. ჩვენი ნაჩალნიკი ჯაფარიძე მოვიდა, ყრილობას დაუძახა და გვითხრა: „როგორ გაბედეთ და მაჭუტაძის მამულში არ იმუშავეთო"! ჩვენ უთხარით: ეს არ იყო ჩვენთვის სასარგებლო და იმიტომ დავეხსენითო. მგონი არაფერია აქ უსამართლოთ ნათქვამი, მარა ჩვენი ნაჩალნიკი ჯაფარიძე სხვა ხასიათის კაცი იყო. დაუძახა ერთი ჩვენგანი გაემთრახებია; შემდეგ თოფის კონდახით ცემა უბძანა და ქვეშევრდომმა ღირსეულათ შეასრულა უფროსის ბძანება. ამას გარდა, ბ-ნმა ჯაფარიძემ ორი კიდევ სხვა გაამათრახებია ასე უბრალოთ და უდანაშაულოთ. ბოლოს გვითხოა: თუ არ ჩასულხართ მაჭუტაძის მამულში და არ გიმუშავნიათ, ვაი თქვენს დღეს, აქ ქვას ქვაზე არ დავაყენებ, ყველას ციმბირისკენ გიკრავ თავს და... მაჭუტას ნასახლევზე მარტო მტვერს დავტოვებო. რაღა გვექნა, იძულებული ვიყავით მაჭუტაძის მამულიც მოგვეხნა. ახლა ძველიც წაგვირჩა და ახალსაც ველარ მოვუარეთ, განა რაღა დროს თესვაა ივანობის თვეში. აი ამიტომ ხსენებულ წელს თითქმის უჭირნახულოთ დავრჩით.

1904 წელს მემამულეები დაგვყვენ ჩვენს მოთხოვნილებებზე და ჩვენც ვიმუშავეთ".

თითქმის საღამომ მოაწია და დეპუტატებმა ითხოვეს კრების მეორე დღისათვის გადადება. ჯერ მარტო ერთი კითხვა იყო განხილული, მაგრამ ბ-ნმა კრიმ-გირეიმ გათავება ამჯობინა. ამიტომ შემდეგ მუხლებზე სულ მოკლე ლაპარაკი იყო. გამოვლილ ათ საზოგადოებაში კომისიამ მშვენივრათ შეისწავლა გურულების მოთხოვნილება და დაიწყებდა დეპუტატი წინადადებას თუ არა, თარჯიმანი გამოართმევდა და თითონ დაასრულებდა.

„ჩვენი გასაჭირი ასე ადვილათ არ ითქმება. ბევრი ვითმინეთ, ბევრი ვწვარე დღე გამოვიარეთ და ამით ბევრი გამოცდილება შევიძინეთ. ჩვენ გავვიტყდა გული მთავრობაზე; იმისი აღარაფერი გვჯერა. ახლა თუ თქვენ გელაპარაკებით აქ ეს არა იმიტომ რომ მოველოდეთ რაიმე სიკეთეს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი თავის დახსნა ჩვენი საქმეა, სხვა ჩვენზე არავინ არ იზრუნებს. როგორც მოგახსენეთ, ჩვენი გასაჭირი უმთავრესათ მიწის სივიწროვისაგან არის გამოწვეული. მარა მარტო ეს ხომ არ გვტანჯავს. ახლა მოგიყვებით გადასახადების შესახებ". აქ ჩამოთვალეს სხვა და სხვა გვარი გადასახადები და დასასრულ მოთხოვეს, რომ ის ოჯახები, რომელთაც შემოსავალი 500 მანეთზე ნაკლები აქვთ სრულიად არავითარ გადასადს არ უნდა იხდიდენო. გადასახადი შემოსავალის და კვალობაზე უნდა იყოს: ვისაც ბევრი შემოსავალი აქვს, იმას გადასახადიც მეტი უნდა ჰქონდესო. დღეს გადასახადს მხოლოთ ღარიბი იხდის და მდიდარი თურმე თავისუფალია გადასახადებისაგანო.

ამის შემდეგ ილაპარაკეს არა პირდაპირ გადასახადებზე და მოითხოვეს ყოველგვარი არა პირდაპირი გადასახადის მოსპობა.

მოითხოვეს: კრებების, სიტყვის, ბეჭდვის, კავშირის, გაფიცვის და რწმენის თავისუფლება.

მოითხოვეს პიროვნების და ბინის ხელ-შეუხებლობა. ნიგოითელებმა მშვენიერათ იციან რას ნიშნავს პიროვნების და ბინის ხელის შეხება, იციან რადგანაც თავის თავზე გამოუცდიათ არამც თუ ხელის, მათრახების და თოფის კონდახების შეხებაც.

მოითხოვეს ნაფიცი მსაჯულები ხალხის მიერ ამორჩეული და დამნაშავე მოხელის პასუხის მგებლობა.

მოითხოვეს წოდებათა სრული მოსპობა და ყველა ადამიანის მოქალაქეთ აღიარება თანასწორი უფლებით კანონის წინაშე.

მოითხოვეს პასპორტების მოსპობა და ენის თანასწორობა.

მოითხოვეს უფასო სავალდებულო სწავლა 16 წლამდე, ყველა ბავშვებისათვის ეროვნების და სქესის განურჩევლად,

მოითხოვეს ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან და სამღვდელოების სკოლების დაკეტვა. აგრეთვე სამღვდელოების გაძევება სამინისტრო სკოლებიდან.

მოითხოვეს მუდმივი ჯარის მოსპობა და მის მაგიერ სახალხო მილიციის შემოღება.

დასასრულ მოითხოვეს დამფუძნებელი კრების მიწვევა და რუსეთში სახალხო მართველობის შემოღება. ხალხმა ჭნდა

ამოირჩიოს თავისი წარმომადგენლები და ამათ მიანდოს თავისი საქმეების და ხალხის ინტერესების დაცვაო.

„ახლანდელმა მთავრობამ ბევრჯერ დაგვიმტკიცა თავისი გულშემატკივრობა“ და ახლაც ალარ უღალატა ძველ წესს. როცა ჩვენ ჩვენს გასაჭირზე ავლაპარაკდით. მან ალიხანოვი ვოგვაყენა ყაზახ რუსებით და ზარბაზნებით. ჩვენ ხიზლს ვუცხადებთ ყაზახ რუსების საქციელს და სალამს ვუძღვნით სალდათებს, რომლების გულში კიდევ არის ადამიანური გრძნობაო.

ნ. კ—ძე.

საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები.

(რუსულიდან თარგ.)

VI.

თანამედროვე დემოკრატია.

(იხ. „მოგზაური“ № 9)

მე-XVIII საუკუნე წარმოადგენს თვითმპყრობელობის განვითარების უმაღლეს წერტილს. მარა ამავე საუკუნემ შექმნა ის ძალებიც, რომელთაც ბოლო უნდა მოეღო თვითმპყრობელობისათვის.

მე-XVIII საუკუნის სახელმწიფო, როგორც ინგლისში—ისე დანარჩენ ევროპაში, უნდა ჩაითვალოს ერთი მხრით მოვაჭრე და მრეწველ კაპიტალისტების აღმზრდელათ და მაშასადამე პროლეტარიატის დამბადებელ-აღმზრდელათაც,—მეორე მხრით კი ვეებერთელა დაწესებულებათ, რომლის მიზანი იყო ხალხის ცარცვა-გლეჯითა და ყველფერით სარგებლობა მოეტანა თავად-აზნაურობის რამოდენიმე ნაწილისთვის,—ინგლისში თავად-აზნაურობის იმ ნაწილისთვის, რომელიც მართავდა და განაგებდა სახელმწიფო საქმეებს, დანარჩენ ევროპაში კი კარის თავად-აზნაურობის და სხვილ ფინანსისტებისთვის.

სახელმწიფოს ამ ორივე მხარის წინააღმდეგ მე XVIII საუკუნის განმავლობაში თან და თან ძლიერდება ხალხის უკმაყოფილება. ვაჭრობა და მრეწველობა განვითარდა იმ ზომამდე და მიიღო ისეთი ხასიათი, რომ ბიუროკრატიის მხრუნველობითი ოპეკა ხელის შემშლელი შეიქნა წარმოების წესრიგის შემდეგი განვითარებისთვის და გაცხარებულ კონკურენციაში გამარჯვება იმ მეტოქეს რჩებოდა, რომელიც ადრე შემოიღებდა წარმოებაში გაუმჯობესებულ იარაღებს და ბაზრის მდგომარეობას შეესაბამებოდა და შეეთვისებოდა.

ამ დროს სახელმწიფო მფარველობის და დაცვის ნაცვლათ თავისუფლება შეიქნა კაპიტალისტების ლოზუნგი. ბურჟუაზია თხოულობდა არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ თავისუფლებასაც. ბურჟუაზია, როგორც თავის რაოდენობით, ისე გონებრივი განვითარებით და—კიდევ უფრო—ეკონომიური მნიშვნელობით, იმდენათ ძლიერათ გრძნობდა თავის თავს, რომ შეეძლო თავისუფლათ დაემსხვრია არისტოკრატიის და მასთან შეერთებულ სახელმწიფო უღლების ღელი და ბატონობა.—მე-XVI, XVII და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სხვილი ვაჭრობა და მრეწველობა ყმთავრესათ ფუფუნებას და განცხრომას ემსახურებოდა. მომსვლ ს და სეზოგადო ურთიერთობის სიძნელის გამო დიდ მანძილზე საქონლის გადაჯან-გადმოტანის შრომა მხოლოთ იმ შემთხვევაში ჯილდოვდებოდა, თუ საქონლის ფასი შედარებით ძალი იყო. საზღვაო აღებ-მიცემობა აძლევდა ევროპას ოქროს და ვერცხლის ნივთებს, ძვირფას შეუნიერ ძაფეულობას, ფარჩეულობას და სხვ. ევროპის კაპიტალისტური წარმოება, ე. ი. მრეწველობა, რომელიც მსოფლიო ბაზრისთვის მუშაობდა, ქმნიდა აბრეშუმის ფართლეულობას, ძვირფას ხალებს და ნოხებს, ფაიფერს და სხვ. იმ დროში კაპიტალიზმს მოგებას აძლევდა არისტოკრატიის გადაჭარბებული მფლანგველობა.

მარა თანდათან მიმოსვლის საშვაღებების და წარმოების წესების გაუმჯობესობის გამო ფუფუნების საგნებთან ერთათ პირველ ადგილს იკავებს ხალხის სახმარებელ საგნების წარმოებაც. თუ ფუფუნების საგნების წარმოება საჭიროებდა თავის ასაყვავებლათ მდიდარ და მოქეიფე, მფლანგველ კლასში, სამაგიეროთ სახალხო სახმარებელ ნივთების წარმოებას შეეძლო მით უფრო განვითარებულიყო, რაც უფრო მაღალი იყო მცხოვრებთა უმრავლესობის, მშრომელი ხალხის მყიდველობითი ძალა, ე. ი. რაც უფრო ჩაკლებ ცარცვავდენ ამ ხალხს გაბატონებული კლასები და რამდენათაც მრეწველობა სახალხო სახმარებელ ნივთების წარმოებათ იქცეოდა, იმდენათ მძიმე და აუტანელი ხდებოდა ბურჟუაზიისთვის არისტოკრატიული ცარცვა-გლეჯის სისტემა. არისტოკრატიის ღელი, ამავე დროს იზრდებოდა მწარმოებელთა (მუშების) საარსებო, ცხოვრების აუცილებელ საგნებისა და დაუმუშავებელ მასალის მოთხოვნილება. ადგილობრივ წარმოებას ალარ შეეძლო დაეკმაყოფილებია ეს მოთხოვნილება. ამ ნაირათ თანდათან, უფრო მეტ მნიშვნელობას ღებულობდა მრეწველ კლასთათვის ცხოვრებისთვის აუცილებელ და იაფ საგნების და დაუმუშავებელ მასალის შემოტანა სახელმწიფოში. სრულებით წინააღმდეგი იყო ამის მაწადმფლობელთა ინტერესები. ამ გარემოებამ პირველათ ინგლისში და საფრანგეთში, მერე დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც დაბადა ბურჟუაზიის შორის შური და სიძულვილი არისტოკრატიულ წესწყობილებისადმი. ამ შემთხვევაში ბურჟუაზია უყურადღებას როდი აქცევდა არისტოკრატიულ წესწყობილების გარეგნულ ფორმას. მისთვის სულ ერთი იყო პარლამენტარულ სახელმწიფოში იქნებოდა ეს წესწყობილება თუ განუსაზღვრელ მონარქიაში, მაგრამ ბურჟუაზიასთან ერთათ ამოძრავდა დაბალი კლასებიც: გლეხნი და მდაბალი მოქალაქენი, რომელთაც შეუერთდა პროლეტარიატიც. პროლეტარიატს, როგორც კლასს, თავის ვინაობა და დამოუკიდებლობა არ ქონდა ნათლათ გამორკვეული და გამოცხადებული—ის ხელი-ხელ ჩართული მიყვებოდა წვრილ ბურჟუაზიის წვრილ რევოლიუციონურ ნაწილებს. მეთვრამეტე საუკუნის სახელმწიფო მთელი თავის სიმძიმით ამ კლასებზე იყო დამყარებული. ის ამ კლასებს ყველფერს და ართმევდა გადასახადს ბიუროკრატიის, ჯარის, სახელმწიფო ვალების და სასახლის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. გლეხები, მდაბალი მოქალაქე და პროლეტარები—რამდენათაც საზოგადოთ შეიძლება ლაპარაკი პროლეტარებზე მაშინდელ დროში—იმ თავითვე მტრულათ უყურებდენ ახლათ აღორძინებულ განუსაზღვრელ სახელმწიფო უფლებას და სახელმწიფოსაგან ბიუროკრატიის საშვალე-

ბით ხალხის ექსპლოატაციას. მაგრამ ყველგან, სადაც კი სცადეს მათ წინააღმდეგობის გაწევა, ისინი ჩვეულებრივ მარცხდებოდენ, რადგან თემები ერთმანეთზე დაშორებული და განკერძოებული იყვენ და კავშირს მოკლებული.

დროთა ვითარების გამო სახელმწიფოს ერთობამ, კაპიტალიზმმა, ვაჭრობამ, გადასახადებმა და მილიტარიზმმა იქონიეს თავისი გავლენა ამ კლასებზედაც. მათი ადგილობრივი კარჩაკეტილი პოლიტიკა თანდათან ქრებოდა.—რასაკვირველია, ზოგან უფრო ჩქარა, ზოგან კი უფრო ნელა. ამის დაწყება ეკუთვნის მდაბალ მოქალაქეთ და პროლეტარებს, რომლებიც პატარა ქალაქებშიაც კი მჭიდრო კავშირს იკავებდენ დიდ ქალაქებში ბუოფ ამხანაგებთან. მათი მაგალითი მთელი მშრომელი ხალხისთვის მისაბაძავი შეიქნა. კაპიტალისტური მრეწველობა ხელს უწყობდა ამ გარემოებას. დიდ ქალაქებში ერთდებოდენ პროლეტართა ჯგუფები ვაჭრებთან და ხელოსნებთან ერთათ. ესენი ახლა აღარ ცხოვრობდენ მარტო სასახლის ხარჯზე. სასახლის მედიდურობა, სიმდიდრე და ბრწყინვალება უფრო აშკარათ ხდიდა მათ შეგნებაში მათსავე სიღატაკეს—და ზიზღი და მძულვარება, რომელსაც ღარიბ ხალხში მოეყარა თავი, ხშირათ მეფის სასახლის წინააღმდეგ მიიმართებოდა.

დიდ ქალაქების მშრომელ კლასთა ხელმძღვანელობით მთელი ქვეყნის მოქალაქეთა და პროლეტარებმა, და ზოგიერთ ადგილას გლეხ-კაცებმა კი შეიგნეს, რომ ადგილობრივ ინტერესებს გარდა მათ ქონდათ საერთო-სახელმწიფო—თუ შეიძლება ასე ითქვას—ინტერესებიც. ადგილობრივ პოლიტიკის მოსპობასთან ერთად პირველი ადგილი დაიჭირა იმ მისწრაფებამ, რომელმაც მოიცვა მთელი არე მარე, მთელი ერი; ამასთანავე დაბალ კლასების ძალა და გავლენა თანდათან იზრდებოდა.

არისტოკრატიულ წესწყობილებას კაპიტალისტებს და პროლეტარებს გარდა გაუჩნდა კიდევ მესამე მტერი. ეს არის ბურჟუაზიული ინტელიგენცია მაგ., ვექილები, პროფესორები, ექიმები, მწერლები, მხატვრები და სხვები.

მე-XVI და XVII საუკუნოებში ეს კლასები პირდაპირ თუ არა პირდაპირ სასახლის არისტოკრატიაზე იყვენ დამოკიდებული. საშვალო საუკუნოებში მეცნიერების და ხელოვნების ერთადერთი თავშესაფარი ეკლესია იყო. რეფორმაციის შემდეგ კი, როცა ეკლესიამ თავის ასეთ როლზე ხელი აიღო, ყოველ მოაზრეს, ყოველ მხატვარს, პოეტს, რომელსაც არ ქონდა საშვალება დამოუკიდებლათ ეცხოვრა, შეეძლო განეგრძო მეცნიერული და ხელოვნური შრომა მხოლოთ რომელიმე დიდი, ცნობილ პირის დახმარებით და მფარველობით. *) აი ეს ცნობილი პირი ღებულობდა მას როგორც თავის მოსამსახურეს და ნიშნავდა თავის სასახლის ლაქიათა რიცხვში. მარა ბურჟუაზიის აღორძინებით და გაძლიერებით, მის წევრებსაც ეხსნებათ გზა, ემატება თავისუფალი დრო, დიდდება და რთულდება მათი მოთხოვნილებანი, საქმის მცოდნე და განსწავლული პირნი აუცილებლათ საჭირონი ხდებიან ბურჟუაზიისათვისაც. ამ ნაირათ ჩაღდება ბაზარი ვექილებისთვის, ექიმებისთვის, ინჟენრებისთვის, მასწავლებლებისთვის და სხვ... ბოლო ხანებში, როცა დაბალმა კლასებმა მონაწილეობის მიღება იწყეს ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, როცა ამ კლასებმა წიგნების და გაზეთების კითხვა დაიწყეს, იმ დღიდან ინტელიგენცია არისტოკრატიისაგან და სასახლისაგან თანდათან დამოუკიდებელი შეიქნა. მეცნიერებაში და ხელოვნებაში თავი ამოყო იმ დროს გამეფებულ ძალების და საზოგადოებრივ წესწყობილების წინააღმდეგმა ტენდენციებმა და სულ მალე პირველი ალაგი დაიჭირა. ფაქტების ლოღიკა და განწყობილება არისტოკრატიულ წესწყობილების წინააღმდეგ მეტყველებდა. ინტელიგენციაც, როგორც უმრავლეს შემთხვევაში, ბურჟუაზიულ წრიდან წარმომდგარი და თავის საზოგადოებრივ მდგომარეობით და ინტერესებით ამ წრესთან დაახლოვებული, დაინტერესებული იყო ბურჟუაზიის გამარჯვებით და არისტოკრატიზმის დამარცხებით და მოსპობით. მარა ინტელიგენცია ბურჟუაზიის ყველა დანარჩენ ნაწილებზე მაღლა იდგა გონებრივი განვითარებით და მას საზოგადოთ ნაკლებათ ეხებოდა ამ კლასის წევრთა დროებითი და შემთხვევითი ინტერესები. ამ ნაირათ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას შეძლება და საშვალება ქონდა გამხდარიყო ბურჟუაზიის მოწინავე მებრძოლათ, გამოსულიყო ძირითად კლასობრივ ინტერესების წარმომადგენელათ და ამხსნელ-გამრკვევლათ, მაგრამ ბურჟუაზიის კლასიური მოთხოვნილებები და ინტერესები მაშინ უერთთებოდა მთელ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და ინტერესებს, წარმოიდგინეთ დაბალ კლასების ინტერესებსაც კი, იმ კლასების, რომელსაც მაღალ წრის ხალხთან ერთათ ერთი საერთო მტერი ყავდა და ეს საერთო მტერი იყო არისტოკრიტიული წესწყობილება. ტანჯვა, წვალება და ჩაგვრა არისტოკრატიულ წესწყობილების მიერ გამოწვეული, იყო ისეთი დიდი და აუტანელი, ექსპლოატაცია ისე ფეხ-გადგმული იყო, რომ ამ შემთხვევაში მცხოვრებთა საზოგადოებრივ კლასებმა დაივიწყეს თავიანთი კერძო კლასიური ინტერესები დროებით და შეერთდენ საერთო მტრის—დამპალ არისტოკრატიულ წესწყობილების წინააღმდეგ. ქალაქი და სოფელი, მუშა და კაპიტალისტი, ხელოსნობა და სხვილი მრეწველობა და ვაჭრობა—საერთო მიზანმა მოიცვა, საერთო მტრისკენ გაეშურა მის ბატონობის ძირიანათ აღმოსაფხვრელათ და გასათახსირებლათ. ბურჟუაზიის „მდ. მოქალაქეთა“, გლეხობის და პროლეტარიატის ნაწილები შეერთდენ განუსაზღვრელ სახელმწიფო უფლების დასაცემათ და თავად-აზნაურობის გასაუქმებლათ და მოსასპობათ. და ის კლასი, რომელმაც ხელი შეუწყო ამ კავშირის შექმნას და რომელიც გამოდგა ამ ერთობის მტკიცე ელემენტად, იყო ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ბურჟუაზიული ინტელიგენცია ყველაზე ნაკლებ ექვემდებარებოდა იმ მოვლენათა გავლენას, რომელიც თესდა შუღლს, უთანხმოებას და ამყარებდა წინააღმდეგობას საზოგადოებრივ კლასთა შორის. ის სუყველაზე კარგათ გრძნობდა და ესმოდა მათი შეშაფოთებული ინტერესების მნიშვნელობა; აი ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც იყო მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ ხანებში ზემოხსენე-

*) ამისთანა მფარველობას მეცენატობას ეძახდენ.

შენ. მთარგმეელისა.

ბულ კავშირის ნაყოფი, ინტელიგენციამ თავისი ბეჭედი დაასვა, თავისი ელფერი მიცა. იმან მიცა ამ მოძრაობას კარგი მეთაურები და წარმოშვა მისთვის მოწინავე მებრძოლნი. დემოკრატიას ორი მიზანი ჰქონდა. იმას შეძლების და გვარათ უნდა შეესუსტებინა სახელმწიფოს ცენტრალური უფლების ძლიერება და გავლენა ხალხზე—სულ ერთი იყო ეს უფლება თვით მპყრობელ მონარქს ეჭირა ხელში თუ პარლამენტს, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება შეიძლებოდა განსაზღვრულ პირობებში, რადგან კაპიტალისტური საზოგადოებაც საჭიროებდა თავის განვითარებისათვის ძლიერ ცენტრალურ უფლებას. აი ამიტომ დემოკრატიას პირველ მიზნის გვერდში უნდა ამოეყენებინა მეორეც: სახელმწიფო უფლება უნდა გამოცლოდა არისტოკრატიას ხელიდან და ხალხის მფლობელობაში უნდა გადასულიყო; ის უნდა შეცვლილიყო არისტოკრატიის იარაღიდან ხალხის იარაღათ. პირველი მიზნის განხორციელება თხოულობდა სახელმწიფო უფლების და მის ორგანოების შესახებ თავისუფალ კრიტიკას; ის თხოულობდა პარლამენტის კრებების მოქმედების გამოქვეყნებას, სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებას. აგრეთვე საჭირო იყო სახელმწიფო უფლების და მის ჩინოვნიკების (მოხელეების) ზოგიერთ ფუნქციების და იძულებითი ძალდატანებით საშვალებების გადაცემა თემებზე და პროვინციებზე, რომლისთვისაც თვითმმართველობა უნდა მიენიჭებიათ.

(შემდეგი იქნება)

მასწავლებელთა გასაჭირი და ქავშირი სრულიად რუსეთის მასწავლებელთა.

—

«რუსსკია ვედომოსტის» მე-64 ნომერში მოთავსებულია წერილი საზოგადოთ მასწავლებელთა და კერძოთ სოფლის მასწავლებელთა შესახებ. ბ-ნმა ვერდმა აზრი გამოთქვა „სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის“ დაარსების შესახებ და როგორც მოსალოდნელი იყო ამ სიმპატიურ სურვილს, ყოველი მხრიდან აღტაცებით მიეგებენ. ხსენებულ რედაქციას მრავალი წერილი მიუღია სხვა და სხვა კუთხიდან, მარა ჩვენ ამ ხანათ მარტო სოფლის მასწავლებელთა შესახებ მოყვანილ ცნობებს გადმოგცემთ, რადგანაც ჩვენი აზრით უკიდურეს გასაჭირს აღმზრდელთა შორის სახალხო მასწავლებელი ითმენს.

აი რას იწერება ერთი სკოლის მზრუნველი: «საწარმოვო დაწესებულებათა მუშები, რკინის გზის მოსამსახურენი, ფაბრიკებში მომუშავენი, და კიდევ სხვა კატეგორიის მუშები ხმას იმაღლებენ და თავისს გასაჭირს საჯაროთ აცხადებენ. ეკონომიური მდგომარეობის გაუჯობესობას თხოულობენ.

მხოლოთ ერთი კლასი, მშრომელთა კლასი, რომელსაც ყველაზე მეტი უფლება აქვს თავისი მოითხოვოს, ხმას არ იღებს და საზოგადო მოძრაობის გარეშე დგას. ვინ არიან ისინი? ეს გახლავთ ყველასაგან მივიწყებული სოფლის მასწავლებელნი. ეს ის ჩუძი მუშაკები არიან, რომელთაც ჩვენს ხალხში განათლების სხივი შეაქვთ, რომელნიც ხალხს თვით ცნობიერების გაღვიძებას ემსახურებიან. თუმცა მთელი ეს კლასი სახალხო მასწავლებელთა უკიდურეს გასაჭირს ითმენს, ნახევრათ მშიერ-მწყურვალია, მაგრამ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხმას არ იღებს; მასწავლებელთა გასაჭირის მტკიცება საჭირო არ არის, რადგან ყველა საღი გონების ადამიანი მიხვდება თუ რა შეუძლიან იმ მასწავლებლებს რომელიც თვეში 15 30 მანეთამდე ჯამაგირს იღებენ. ამიტომ საჭიროა დ-წყებეს მინიმუმი (ე. ი. უმცირესი ჯამაგირი) მასწავლებელთა ჯამაგირისა, რომელითაც უნდა შეეძლოს მას უსაჭიროესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ჩვენი აზრით ასეთი ჯამაგირი არ შეიძლება თვეში 50 მანეთზე ნაკლები დარჩეს. განა სირცხვილი არ არის რუსის ხალხისათვის, რომ იმისი საუკეთესო მოღვაწეები, რომლებსაც განათლების სხივი შეაქვთ მათი ბავშვების გონებაში, ისეთ გასაჭირს ითმენდენ, როგორიც დღეს ადგათ?“

მეორე ალაგას ერთი მასწავლებელი წერს, რომ თანამედროვე საზოგადო მოძრაობას მხოლოთ მასწავლებელთა ხმა აკლია, ხმა სამართლიანი, რადგანაც უმეტესი გასაჭირი არც ერთ სხვა მოღვაწეს არ ადგასო. ავტორი ადარებს სოფლის მასწავლებელს და ქარხნის მუშის მდგომარეობას და აი რა გამოყავს: პუტილოვის ქარხნის მუშა საშვალო რიცხვით იღებს 48—50 მანეთამდე, თუმცა ზოგჯერ ჯამაგირი 120 მანეთამდეც ადისო. სოფლის მასწავლებელთა ჯამაგირი კი უმთავრესათ 15—35 მანეთს არ აღემატება. ამასაც ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მუშას როგორც ქალაქის მცხოვრებს შეძლება აქვს თავისი შვილები აღზარდოს, ხოლო სოფლის მასწავლებელი ამ საშვალებას მოწყვეტილია შორი მანძილით, უზომო შრომას და უკიდურეს სიღარიბეს არა ნაკლები გავლენა აქვს მასწავლებელთა ჯან მრთელობაზე; საზარელი სენი, ჭლექი მასწავლებელთა შორის ძლიერ ხშირი მოვლენა არის.

დღეს, როდესაც მთელი რუსეთი ღელავს, როდესაც ყველა თავისის გასაჭირზედ ღაღადებს და მომავალი ცხოვრების გაუმჯობესობას ცდილობს ძლიერ გვაკვირვებს მასწავლებელთა ასეთი მკვდრული, სამარისებური სიჩუმე. ჩვენი აზრით შეიძლება მოითხოვონ 1) მასწავლებელთა კავშირები, 2) სამოსწავლებლო კასები 3) კურსები და კრებები, რომელზედაც მასწავლებელს თავისუფლათ უნდა შეეძლოს მსჯელობა, როგორც საკუთარი გასაჭირის, ისე გლებ კაცობის შესახებაც.

მეორე მასწავლებელი (ყირიმელი) სხვათა შორის ამბობს: »ახლა იკითხეთ რამდენი უფროსი, რამდენი მბრძანებელი ყავს სოფლის მასწავლებელს: 1) მკოლის მზრუნველი, 2) საზოგადოება და თითოეული იმისი წევრი; 3) სოფლის მწერალი; 4) მამასახლისი, 5) მღვდელი, 6) ბოქაული, 7) მაზრის უფროსი და ასე ზევით რამდენიც გინდათ. ყველა ჩამოთვლილი პირი მბრძანებელია, ყველას ანგარიში უნდა აძლიოს საბრალო მასწავლებელმა. ყველას უნდა ასიამოვნოს, რომ თავის უზომო შრომით მოპოებული ლუკმა პური არ დაკარგოს. ნუთუ მასწავლებელთა გასაჭირს ბოლო არ მოეღება? ნუ თუ ზედ-მეტი მბრძანებლები არ ჩამოეცლებიან მას? ნუთუ მისი სიცოცხლე ასე მათხოვრული იქნება შემდეგშიაც! სად არის მასწავლებელთა სამართლიანი ხმა? რატომ ასე გაჩუმებულან ისინი ვისაც ყველაზე მეტი აქვთ სათქმელი?“

—

მართლაც საოცარია მასწავლებელთა დუმილი: როდესაც მთელი ქვეყანა ღელავს და შფოთავს, როდესაც ყველა იმაზე ფიქრობს თუ როგორ მოაწყოს განახლებულ ცხოვრებაში თავისი მომავალი, მასწავლებელთ სრული გულგრილობა და დაუდევრობა ეტყობათ. უმთავრესი იარაღი ხალხის კეთილ-დღეობისა და გათვითცნობიერებისა-სახალხო სკოლა და სახალხო სამკითხველოები თითქმის უპირისუფლოთ დარჩენილან. ვინ უნდა აღამაღლოს ხმა ამ წმინდა დაწესებულებათა ინტერესების დასაცავათ? ვინ და იმან ვისაც უკეთ ესმის სოფლის სკოლის გასაჭირი, ვინც ხელ-მძღვანელი იყო მისი.მაშ სად არიან სოფლის მასწავლებლები? რათ არ იკრიბებიან და არ აცხადებენ თავიანთ მოთხოვნილებებს ისინიც, როგორც საზოგადოებას სხვა ელემენტები! ჩვენ გვრწამს, რომ სოფლის მასწავლებლები ჩქარა გამოფხიზლდებიან და დღევანდელ საერთო მოძრაობას ისინიც თავის ხმას შეუერთებენ.

რედ.-გამომც. ა. პ. რასტომაშვილი.

ყოველკვირული ჟურნალი

„მოგზაური“

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოდის 1905 წლის 16 იანვრიდან ვრცელი პროგრამით.

ჟურნალის ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: ერთი წლით—5 მან., ნახევარი წლით—3 მან. ცალკე ნომერი—15 კაპ. ადრესის გამოცვლა—40 კაპ. წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში „მოგზაურის“ რედაქციაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში—შიო ჭუჭუაშვილთან; ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (იროჩნი ქუჩა, № 7) და ნაძალადევში—წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

ბათომში—ანასტასია გოგოლაშვილთან და ბარ. კილაძის და თავარ თქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბაძოში—ტერენტი წერეთელთან (ქალაქის საბჭოში).

ბანჯაში—ი. ევდოშვილთან. და ვასო გეთაშვილთან

ბუთაისში—ის. კვიცარიძესთან (ამხანაგ. ,,კოლხიდა'')

ტყიბულეთში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და ქ-ნ თამარ შარაშიძესთან.

ჩოხატაურში—ალექსანდრე დოლიძესთან.

სენაკში—არსენ წითლიძესთან.

სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან და ალ. მირანაშვილთან.

ხონში—ექიმ პ. ოლიკარ კიკალიშვილთან და ,,რუსთაველის წიგნის მაღაზიაში.

ჭიათურაში—ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ზესტაფონში სოლომონ წულაძესთან. და გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში

სად. მიხაილოვში—ივანე ომიანიძესთან.

ს. გოგიში—არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში.

ჟურნალისათვის დანიშნული წერილები და ყოველგვარი კორესპონდენცია უნდა იგზავნებოდეს პირდაპირ რედაქციის სახელობაზე—ჟურნალში დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები და მოთხრობები, როცელთა დაბეჭდვას რედაქცია ვერ სცნობს შესაძლებელათ, შეინახება 3 თვი-განმავლობაში, ხოლო სხვა წერილებისა და კორესპონდენციების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ვისაც რედაქციისას გან წერილით პასუხის მიღება სურს, უნდა წარმოადგინოს ფოსტის ხარჯი.

ხიღნაღსა და ანაგაში—ნიკოლოზ ივანეს ძე ახმეტელაშვილთან.

თელავში—ქეთო ზარაფიშვილთან.

ფოთში—ანტონ ჟღენტთან.

რედაქცია დაჰა დღის 10-დან შუადღის 2 საათამდე და საღამოს 8 საათამდე. რედაქცია იმყოფება: ტფილისში, ნაოსნობის ქ., სახ. № 44

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „МОГЗАУРИ".

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

პ. ი. პიპინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალიშვილი შინაგან. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 6—11 საათ.

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. ჭულინი.—ყელისა, ხახისა და ცხვ 10—11.

პ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. სამშ, ხუთშ. პარასკ და შაბათობით 11—12.

პ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ეძ. ძალი მ. კ იოსელიანი —ქალისა და საბებიო, სამშ, ხუთშ. და შაბათ 12—1 ს

კ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

ს. ს ალექსი-მესხიშვილ.—ხირურგია 1—2.

ს ა ღ ა მ ო ს:

ნ. ი. ვაწაძე —შინაგ. 6—7 საათამდე

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ კარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სხვათმყოფოს აქვს ოცი სწორლი. სამკურნალოში ოპერაციები მრიგებათ, კრავატები დღეში დარს 2-დან სამ მახეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მ.

ადრესი: კუკია, ვერიკოკნიაუეცის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხვედის ქუჩიდან-კი 34 ნ.

ტელეფონი № 274.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 годъ

(Седьмой годъ изданія)

на еженедѣльную газету

„ПРАВО"

выходящую безъ предварительной цензуры подъ редакціей пр.-доц. В. М. Гессена и Н. И. Лазаревскаго и при ближайшемъ участіи І. В. Гессена, пр.-доц. А. И. Каминка, проф. Л. І. Петражицкаго, по прежней программѣ.

Годовые подписчики получатъ въ качествѣ приложеній: *Сборникъ рѣшеній кассаціонныхъ департаментовъ и общаго собранія І-го и кассаціонныхъ департаментовъ Правит. Сената.*

Редакція даетъ годовымъ подписчикамъ „*ПРАВА*" безплатные отвѣты (въ количествѣ не болѣе 3-хъ) на юридическіе вопросы.

Въ „*Правѣ*" помѣстили статьи слѣдующія лица: К. К. Арсеньевъ, проф. Берн. ун. В. І. Борткевичъ, пр.-доц. Ф. А. Вальтеръ. М. М. Винаверъ, проф. А. К. Вульфертъ, Л. В. Гантоверъ, М. И. Ганфманъ, сен А. Г. Гасманъ. пр.-доц. М. Я. Герценштейнъ, проф. А. Х. Гольмстенъ, В. Голубевъ, пр.-доц. М. Б. Горенбергъ, О. О. Грузенбергъ, проф. А. Г. Гусаковъ, пр.-доц. Н. В. Давыдовъ, проф. Н. Л. Дювернуа, Г. Ф. Евангуловъ, В. Б. Ельяшевичъ, проф. С. И. Живаго, проф. А. А. Жижиленко, Н. И. Іорданскій. проф. И. А. Ивановскій, сен. А. Ѳ. Кони, баронъ С. М. Корфъ, Н. Е. Кудринъ, Н. И. Кузнецовъ, Г. А. Ландау, А. А. Леонтьевъ, В. О. Люстихъ, пр.-доц. І. В. Михайловскій, проф. С. А. Муромцевъ, В. А. Микотинъ, проф. В. М. Нечаевъ, проф. П. И. Новгородцевъ, баронъ Б. Э. Нольде, проф. Берлн. ун. Др. Оертманнъ, проф. М. Я. Пергаментъ, О. Я. Пергаментъ, проф. А. А. Піонтковскій, Л. А. Потѣхинъ, А. С. Пругавинъ, В. А. Пѣшехоновъ, И. М. Рабиновичъ, М. А. Рейснеръ, Ѳ. И. Родичевъ, проф. Н. Н. Розинъ. В. И. Семевскій, Б. Д. Спасовичъ, М. А. Стаховичъ, И. М. Страховскій, сенаторъ Н. С. Таганцевъ, Е. Н. Тарновскій, проф. кн. Е. Н. Трубецкой, проф. кн. С. Н. Трубецкой, пр.-доц. В. М. Устиновъ, проф. И. И. Фойницкій, В. В. Хижняковъ, проф. П. П. Цитовичъ, проф. Н. М. Цытовичъ, пр.-доц. Л. В. Шалландъ, проф. Г. Ф. Шершеневичъ, Гр. И. Шрейдеръ. Г. Н. Штильманъ, И. Г. Щегловитовъ и др.

Поставивъ въ числѣ своихъ задачъ ознакомленіе читателей съ существующей судебною и судебно-административной практикою, а также разработку этой послѣдней, „Право" удѣляетъ широкое мѣсто судебнымъ отчетамъ, а также разбору рѣшеній, приговоровъ и административныхъ постановленій, представляющихъ принципіальный интересъ. Отчеты о всѣхъ дѣлахъ, разсмотрѣнныхъ въ кассаціонныхъ департаментахъ Правительствующаго Сената, печатаются въ ближайшихъ послѣ засѣданій номерахъ.

Въ Справочномъ отдѣлѣ печатаются: алфавитный списокъ лицъ несостоятельныхъ, ограниченныхъ и освобожденныхъ отъ ограниченія въ правоспособности; алфавитные списки уничтоженныхъ довѣренностей; списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Прав. Сенатѣ, а также и *резолюціи* по заслушаннымъ въ Сенатѣ дѣламъ.

Подписная цѣна: на годъ съ доставкой и пересылкой 7 руб., на полгода 4 руб. Допускается разсрочка: при подпискѣ 4 руб. и къ 1 мая 3 р. За границу на годъ—10 руб. Отдѣльные нумера продаются по 20 к.

ГЛАВНАЯ КОНТОРА: *С.-Петербургъ, Загородный пр. № 2, при юридическомъ книжномъ складѣ "ПРАВО".* Складъ высылаетъ всѣ имѣющіяся въ продажѣ книги по вопросамъ правовѣдѣнія и обществовѣдѣнія. Подписчики „Права" пользуются при выпискѣ частныхъ изданій скидкой въ размѣрѣ 5%.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го марта 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სახ. სემ.